F1397 N F 3875 4


# მესაკუთრე

ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს | 9-12 ნოემბერი | 1996 წელი


## ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით

არა, თქვენს წინ სრულიად ახალი გაზეთი არ ძევს.

"მესაკუთრე" ძველის გაახლებაა. იგი " პრივატიზების მაცნეს" მემკვიდრე, მისი დაწყებული საქმის გამგრძელებელია, ოღონდ წინამორბედზე უფრო მასშტაბური და მრავლის მომცველი.

"პრივატიზების მაცნეს" არსებითი მიზანი იყო: ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის შედეგად დაწყებული პროცესების პოპულარულად განმარტება, სახელმწიფო ქონების პრივატიზების ურთულეს მექანიზმში მკითხველის საგნობრივად ჩაბმა, სწორ გზაზე დაყენება, შექმნილი ვითარების ღრმა ანალიზი, რაც მთავარია, აუქციონებზე გასატანი ობიექტების საჯაროობა, მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალსაჩინოება, სადირექტივო დოკუმენტების დაინტერესებულ ადამიანებამდე მიტანა.

და კიდევ: საპრივატიზებო ობიექტების რეკლამირება.

რედაქციის შემოქმედებითი ჯგუფის საქმიანობას ყოველთვის თან სდევდა კერძომესაკუთრეთა ფართო ფენის ჩამოყალიბებისათვის ხელისშეწყობის დაუოკებელი სურვილი.

თავად ჩვენთვის ძნელია თქმა, თუ რამდენად სრულად და წარმატებულად შევძელით გაზეთის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტა, ოცნების პრაქტიკაში განხორციელება.

ერთი კი ფაქტია: მოვალეობის შესრულებისათვის ცდა არ დაგვიკლია, უნარი, ენერგია არ დაგვიზოგავს.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც დადგა "პრივატიზების მაცნესთან" დამშვიდობების ჟამი.

ეს ჩვენი მიზეზით არ მომხდარა. განშორების აუცილებლობა დრომ მოიტანა, შექმნილმა ვითარებამ განაპირობა.

კერძოდ:

დასრულდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების პირველი ეტაპი. ათასობით მცირე და საშუალო ობიექტი "გამოვიდა" სახელმწიფო დაქვემდებარებიდან და ახალი მეპატრონის ხელში გადავიდა.

მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ ძველ ადგილს ტკეპნის, ნაწილი მძიმედ, ნელა, მაგრამ საიმედო მოძრაობას უკვე იწყებს და თავად ქმნის სწრაფი მოქმედების პირობას.

რაც მთავარია, დღეს უპატრონობით, უყურადღებობით არაფერი ინგრევა, არაფერი ნადგურდება. ვისაც ჯერ კიდევ არა აქვს პროდუქციის შექმნის შესაძლებლობა, შენობა-ნაგებობებს, დაზგა-დანადგარებს მაინც იცავს ხელყოფისაგან და ხვალ-ზეგ მუშაობას შეუდგება.

შეიქმნა მრავალი სააქციო საზოგადოება. უმრავლესობაში აქციათა საკონტროლო პაკეტს შრომითი კოლექტივები ფლობენ - თავად მართავენ საწარმოების საქმიანობას.

დიდი ილიასი არ იყოს, მართლა დადგა დრო, რომ "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს".

უფრო თამამად შეიძლება კიდევ ერთი რამის თქმა. უკვე მართლა ჩამოყალიბდა, მოღონიერდა, სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება კერძო საკუთრების მფლობელთა ფენა.

ამან არჩევანის უფლება ჩვენც მოგვისპო, მოქმედების არე გაგვიფართოვა და სრულიად ახალი პრობლემის გადაწყვეტა მოგვთხოვა - დავმდგარიყავით მესაკუთრეთა გვერდით, გაგვეთავისებინა მათი ჭირი და ლხინი, დაგვეცვა მესაკუთრის კანონიერი ინტერესები, უფლებები. ამის პატარა გამოცდილებაც უკვე შევიძინეთ. მაგალითისათვის შეგახსენებთ პუბლიკაციას "როცა ცხოვრება ძვირდება, სინდისი იაფდება", სადაც მაღალი რანგის მოხელეებსაც არ მოვრიდებივართ. მადლობა არავის უთქვამს, წყენა ბევრმა გამოხატა. არც ამ უკმაყოფილების გამომზეურებაზე გვითქვამს უარი. ეს ჩვენი რედაქციის სამოქმედო პრინციპია.

ამდენად, თავს უფლებას ვაძლევთ გითხრათ, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესების ხელისშეწყობასთან ერთად მესაკუთრეთა ინტერესებს მტკიცედ დავიცავთ. ამისთვის ცოდნა, გამოცდილება, უნარი არ დაგვენანება.

საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოგვმართოს ყველამ, ვისაც წალმართი საქმის კეთების სურვილი აქვს და მხარდაჭერა უნდა.

მომართვის ფორმა - ნებისმიერი.

დაგვირეკეთ - გიპასუხებთ მუშაობის ყველაზე დაძაბულ წუთებშიც.

მოგვწერეთ - გამოგეხმაურებით. სწრაფად და საქმიანად.

მობრძანდით - ყურადღებით მოგისმენთ, რკინის ქალამანჩაცმულები სამართლის ჯოხით თქვენთან ერთად შემოვივლით მთელ ქვეყანას, სანთელ-საკმეველს გზას არ დავაკარგვინებთ.

თქვენი და ჩვენი ძალა ურთიერთთანადგომაშია.

ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს.

**გაზეთ "მესაკუთრეს" შემოქმედებითი ჯგუფი**

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ოფიციალურად ეწვია უკრაინის სამთავრობო დელეგაციის წევრი, ქვეყნის სახელმწიფო ქონების ფონდის თავმჯდომარე იური ეხანუროვი. მხარეებმა განიხილეს „საკუთრების ურთიერთცნობისა და საკუთრებითი ურთიერთობის რეგულირების“ ხელშეკრულება, რომელსაც 5 ნოემბერს მოაწერეს ხელი.



## უკრაინა და საქართველო ურთიერთობებს აღრმავებენ

უკრაინის დელეგაციის საქართველოში ყოფნის დროს საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის საკუთრებითი ურთიერთობების ცნობისა და რეგულირების შესახებ ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომელშიც კერძოდ ნათქვამია, რომ მხარეები ორმხრივად სცნობენ მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ქონების, მათ შორის მათი ფინანსური რესურსების, მხარეების საკუთრებაში გადასვლას, განხორციელებულს მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეული მხარე სცნობს მეორე მხარის, მისი მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საკუთრებით უფლებებს თავის ტერიტორიაზე განლაგებულ იმ საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებზე, რომლებიც 1990 წლის 1 დეკემბრისათვის მეორე მხარის სახელმწიფო ორგანოების დაქვემდებარებაში იყო ან სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრებას წარმოადგენდა. გამონაკლისს ის ობიექტები

(გაგრძელება მე-2 გვ.)

## ნომერშია:



**უკრაინა და საქართველო ურთიერთობებს აღრმავებენ**

გვ.2




**«ფილიპ მორისის» გადამწყვეტი სვლა**

გვ.7




**გულშემატკივრებს მუქთად მოემსახურებიან**

გვ.8

ნომერშია:

# გვილოცავენ

## ავთანდილ სილაგაძე -

### სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი

გილოცავთ "მესაკუთრის" პირველი ნომრის გამოშვებას.

გაზეთის პერიოდულობის ზრდა და ფუნქციების გაფართოება, დარწმუნებული ვარ, დიდად დაეხმარება მესაკუთრეთა გააქტიურებას.

დღეს, როგორც არასდროს, ქართველ მესაკუთრეს სჭირდება მხარდაჭერა. რა თქმა უნდა, პრივატიზების ერთი ეტაპის გასვლასთან ერთად მრავალი ადამიანი დაეუფლა ქონებას, მათ შორის საკმაოდ მსხვილ ობიექტებს, მგრამ მხარდაჭერის, თანადგომის გარეშე ძალიან გაუჭირდებათ.

მართალია, საუბარია მორალურ მხარდაჭერაზე, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს ცოტას როდი ნიშნავს. მხედველობაში მაქვს კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვა. ამასთან, აუცილებელია სამართალდარღვევებთან შეურიგებელი ბრძოლა.

ქართველმა მესაკუთრემ უნდა იგრძნოს, რომ იგი მართლა არის ქონების პატრონი, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე უნდა ახსოვდეს, რომ მას უფლებებთან ერთად ქვეყნისა და ხალხის წინაშე აქვს უფრო დიდი მოვალეობები, არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჩვენი კეთილდღეობა უპირველესად მის კეთილსინდისიერ შრომაზე არის დამოკიდებული.

ამ თვალსაზრისით, გაზეთ "მესაკუთრეს" განსაკუთრებული მისია აკისრია. იმედი მაქვს, რომ ეს თქვენი სამოქმედო პრინციპი იქნება.

გაზეთის მთელ შემოქმედებით კოლექტივს ვულოცავ "მესაკუთრის" პირველი ნომრის გამოსვლას, ვუსურვებ წარმატებას შემოქმედებით შრომაში და დიდ ადამიანურ ბედნიერებას.

## ემირ ჯუღელი -

### სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილე

ამ სათაურის მქონე გაზეთი 10-12 წლის უკან რომ გამოსულიყო, რედაქციას გაციმბირება არ ასცდებოდა. მოხარული ვარ, რომ მოვესწარი საქართველოში "მესაკუთრეს" გამოსვლას. იმედი მაქვს, რომ იგი ხელს შეუწყობს მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას. ეს კანონიერი გზით უნდა მოხდეს და ხელი შეუწყოს მათი აქტივობის გაზრდას. ის ქონება, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ, მართალია, დიდი ღირებულებისაა, მაგრამ საჭიროა მისი უფრო გაზრდა, ეფექტურად გამოყენება. ამით ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე გაიზრდება.

ვფიქრობ, თქვენმა გაზეთმა ხელი უნდა შეუწყოს ზნეობრივი მესაკუთრეების ჩამოყალიბებას, რადგან ზნეობრივი კრიტერიუმების გარეშე ნებისმიერი მესაკუთრე იზარალებს, დაიღუპება.

მინდა დაგილოცოთ გზა და გისურვოთ, რაც შეიძლება ნაკლები პრობლემები გქონოდეთ შემოქმედებით მუშაობაში.

## გურამ დიდბარიძე -

### სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე

პირველ რიგში რედაქციის კოლექტივს და ჩვენი სამინისტროს თანამშრომლებს ვულოცავ "მესაკუთრის" დაბადებას. მასობრივი პრივატიზება უკვე დამთავრდა, ახლა მიმდინარეობს აუქციონები დარჩენილი აქციების სარეალიზაციოდ. აქვე გაჩნდა ძალიან ცუდი ტენდენცია - სხვადასხვა მაკონტროლებელმა ორგანოებმა დაიწყეს პრივატიზებული ობიექტების გაუთავებელი შემოწმებები.

ქონების მართვის სამინისტროს თხოვნით საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო ბრძანებულება, რომლის თანახმად პრივატიზებული ობიექტების შემოწმების უფლება ჩვენთან ერთად მხოლოდ პროკურატურასა და კონტროლის პალატას აქვს.

ასეთ სიტუაციაში მესაკუთრეებს სჭირდებათ დაცვა და "მესაკუთრეზე" უკეთ ამას ვერავინ შეძლებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და იმედს გამოვთქვამ, რომ მესაკუთრის კანონიერ ინტერესებს "მესაკუთრე" დაიცავს.

# უკრაინა და საქართველო ურთიერთობებს აღრმავებენ

(დასასრული)

წარმოადგენს, რომლებიც ფორსმაჟორული გარემოებების შედეგთა სალიკვიდაციოდ აშენდა. საკუთრებითი უფლებები სამგზავრო და სატრანსპორტო გემებზე რეგულირდება მხარეებს შორის სპეციალური ხელშეკრულებებით.

მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლება რეგულირდება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეცაა განლაგებული საკუთრების ობიექტები, რაიმე განსხვავებულს არ ითვალისწინებენ.

მხარეები ორმხრივად აღიარებენ, რომ მათს ტერიტორიაზე განლაგებული სოციალური სფეროს ობიექტები (გარდა საბინაო-კომუნალური მეურნეობის ობიექტებისა) ან ამ ობიექტებში მონაწილეობის შესაბამისი წილი - სანატორიუმები, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები, დასასვენებელი სახლები და ბაზები, პანსიონატები, სასტუმროები და კემპინგები, ტურისტული ბაზები, ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, რომლებიც აშენდა მეორე მხარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით, აგრეთვე მეორე მხარის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური და ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების თანხებით, ამ მხარის საკუთრებას წარმოადგენს.

სოციალური სფეროს სხვა ობიექტები შეიძლება გახდეს ამ შეთანხმების საგანი მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

მხარეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ მეორე მხარის, მისი იურიდიული და ფიზიკური პირების როგორც მოქმედ, ასევე შექმნის პროცესში მყოფ სოციალური სფეროს ობიექტების სარგებლობასა და მფლობელობაში გადასცენ მიწის ნაკვეთები თავიანთ ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთების გადაცემა მეორე მხარისათვის, აგრეთვე მისი სარგებლობისათვის საფასურის გადახდა ხორციელდება საერთო საფუძველზე, რომელიც იმ მხარის კანონმდებლობით განისაზღვრება, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ობიექტი.

თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიჰყიდოს, გაუცვალოს, უსასყიდლოდ, გირაოდ, იჯარით ან ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს თავისი საკუთრება მეორე მხარეს, მის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ამ მუხლის დებულებებს სახელმწიფო მართვის ის ორგანოები ახორციელებენ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ თითოეული მხარის სახელმწიფო ქონება იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ობიექტი, თუ მხარეებს შორის დადებული სხვა შეთანხმებები რაიმე განსხვავებულს არ ითვალისწინებენ.

მხარეები შეთანხმდნენ ხელი მოაწერონ წინათ შექმნილი საწარმოების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებების, მათ შორის სააქციო საზოგადოებების, მხარეთა წილობრივი ან ერთობლივი საკუთრების ფორმით შენარჩუნებას.

იმ შემთხვევაში, თუ იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებების დამფუძნებელი, რომელთა ქონება მხარეთა ტერიტორიაზეა განლაგებული, ყოფილი სსრ კავშირის სამინისტრო, უწყება ან ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების საწარმო იყო, მათი დამფუძნებელი დოკუმენტები უნდა დაზუსტდეს იმ ორგანოების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ სახელმწიფო ქონება, იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს საწარმოები, ორგანიზაციები და საზოგადოებები.

იმ ორგანოების ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ სახელმწიფო ქონება, მხარეებს შეუძლიათ შექმნან წილობრივი და ერთობლივი







საკუთრებითი ფორმის საწარმოები, მათ შორის მხარეების ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მათი სტრუქტურეული ქვედანაყოფების ბაზაზე. ხსენებული საწარმოების დაფუძნებისა და მოქმედების წესი რეგულირდება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ისინი იქმნება, თუ მხარეებს შორის დადებული სხვა შეთანხმება რაიმე განსხვავებულს არ ითვალისწინებს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაუმთავრებელი ობიექტები, რომლებიც მათ ტერიტორიაზე მდებარეობს და რომლებსაც წინათ სსრ კავშირის ორგანოები აფინანსებდა, იმ მხარის გადაწყვეტილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს ობიექტი, შეიძლება გადაეცეს წილობრივ და ერთობლივ საკუთრებაში იმ მხარეს, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ობიექტი და მეორე მხარეს, მათ იურიდიულ პირებს, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს სამუშაოების დამთავრება ამ ობიექტის ქონების ბაზაზე ერთობლივი ორგანიზაციების შექმნით. ამ საკითხზე გადაწყვეტილებას ღებულობენ მხარეთა ის ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ სახელმწიფო ქონება.

მხარეები უზრუნველყოფენ იმ მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული ბეგარისა და მოსაკრებლების გადახდის შემდეგ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, ერთობლივი საწარმოები და მეორე მხარის, მისი იურიდიული და ფიზიკური პირების კუთვნილი საწარმოების ფუნქციონირების შედეგად კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისა და გადასახადების შეუფერხებელ გადარიცხვას.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთი მხარის წინათ შექმნილი და მეორე მხარის ტერიტორიაზე მდებარე საკუთრების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს საწარმოები და ფორმდება მხარეთა იმ ორგანოების მიერ შედგენილი ოქმებით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ სახელმწიფო ქონება.

შეთანხმებაში ხაზგასმით აღინიშნა, მხარეები იძლევიან გარანტიებს, რომ მხარეთა, მათ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრება ამ შეთანხმების ჩარჩოებში სრული და უპირობო სამართლებრივი დაცვით სარგებლობს. დაუშვებელია ამ საკუთრების იძულებით ჩამორთმევა, გარდა იმ მხარის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სადაც ის მდებარეობს. საკუთრების იძულებით ჩამორთმევის შემთხვევაში სახელმწიფო მფლობელს უხდის ჩამორთმეული საკუთრების შესაბამის კომპენსაციას ვადებში, რომლებიც დადგენილია იმ მხარის კანონმდებლობით, სადაც ის მდებარეობს.

მხარეები აღიარებენ, რომ მათი იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ინვესტიციებს ახორციელებენ, ერთმანეთის ტერიტორიაზე განიხილებიან როგორც უცხოელი ინვესტორები. მათი მოქმედება თითოეული მხარის ტერიტორიაზე ხორციელდება უცხოური ინვესტიციების შესახებ მხარეთა კანონმდებლობისა და იმ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომლებშიც ორივე მხარე მონაწილეობს.

შეიარაღებული ძალების, სამთავრობო კავშირგაბმულობის, სასაზღვრო, შინაგანი, სარკინიგზო ჯარებისა და სხვა სამხედრო ქვედანაყოფების საკუთრებითი საკითხის რეგულირება ხორციელდება მხარეებს შორის სპეციალური შეთანხმებებისა და მხარეთა კანონმდებლობის დებულებათა გათვალისწინებით.

მხარეებს შორის დავა ამ შეთანხმების ნორმათა გაგებისა და გამოყენების თაობაზე წყდება სხვადასხვა დონის ორმხრივი კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების მეშვეობით.

ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე მხარეებს შეუძლიათ ამ შეთანხმებაში შეიტანონ შესწორებები და აუცილებელი დამატებები, რომლებიც შესაბამისი ოქმებით ფორმდება და ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შეთანხმება მიღწეულია, ახლა მთავარია მოხდეს ამ მუხლების შესრულება, რათა როგორც უკრაინელი, ასევე ქართველი ხალხი დარწმუნდეს, რომ უძველესი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ერებს შესწევთ იმის ძალა და უნარი, რომ უთანხმოებები არა იარაღით, არამედ კალმით მოაწესრიგონ.

**გია კუხიანიძე**

# გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ 1996 4-6 ნოემბერს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა უკრაინის სამთავრობო დელეგაცია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პავლე ლაზარენკოს ხელმძღვანელობით.

დელეგაციის მეთაური შეხვდა და ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ნიკო ლეკიშვილს.

ვიზიტის შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ "არსებული სოლიდური სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის შედეგები საგრძნობია და ორმხრივი ურთიერთობა თანმიმდევრულად და ნაყოფიერად ვითარდება ყველა მიმართულებით".

კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ "უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორი სახელმწიფოს პრეზიდენტების მიერ უმაღლეს დონეზე ხელმოწერილ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას, თბილისის დეკლარაციას "ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივებისა და საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებისადმი ერთობლივ მიდგომათა შესახებ", აგრეთვე შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის, ინვესტიციების წახალისებისა და სამრეწველო კოოპერაციის თაობაზე".

უკრაინის სამთავრობო დელეგაციის თბილისში ვიზიტის დროს, როგორც კომუნიკეშია ნათქვამი, ხელი მოაწერეს შეთანხმებებს:

სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ; საკუთრებრივი ურთიერთობის ცნობისა და რეგულირების შესახებ; საცხოვრებელ ნაგებობათა გაცვლის პირობებისა და წესის შესახებ: ახალგაზრდობის პოლიტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ; აგრეთვე საუწყებათშორისო შეთანხმებებსა და ოქმებს: საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციისა და უკრაინის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლობის შესახებ; უკრაინის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობისა და ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს თანამშრომლობის შესახებ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო განათლების დარგში თანამშრომლობის შესახებ; უკრაინის შეიარაღებული ძალების ავიაციის საჰაერო ხომალდების სამხედრო აეროდრომებზე სააეროდრომო-ტექნიკური უზრუნველყოფის, მიღების ორგანიზაციის, დაცვისა და ავიაციის დარგში თანამშრომლობის შესახებ; უკრაინის იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობის, აგრეთვე სამხედრო-საზღვაო სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

კომუნიკეში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ "უკრაინის პრემიერ-მინისტრის პავლე ლაზარენკოს ვიზიტი არსებითად შეუწყობს ხელს საქართველო-უკრაინის თანამშრომლობის გაღრმავებას ორი ქვეყნისა და ხალხის გრძელვადიანი ინტერესებისათვის".

## ინფორმაცია

### საქართველო

#### ტენდერი არ გამოცხადებულა, მსურველები პრეს-კონფერენციას მართავენ

მადნეულის სამთო კომბინატი ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ობიექტია მთელს რესპუბლიკაში. იგი დიდი ხანია ფინანსურ სიძნელეებს განიცდის და აუცილებელია ინვესტორების მოზიდვა. საწარმოს პრივატიზება სახელმწიფო ქონების სამინისტროს აქვს დავალებული. მას ჯერ არც ტენდერის ჩატარების ვადა, არც მონაწილეობის მსურველები ოფიციალურად არ გამოუცხადებია, მაგრამ ტენდერში მონაწილეობის და გამარჯვების მსურველმა ერთ-ერთმა ფირმამ პრეს-კონფერენცია გამართა და ფირმის წარმომადგენელმა თავიანთი პროექტი გამარჯვების კანდიდატად მიიჩნია. ცნობილია ისიც, რომ ტენდერში მონაწილეობის სურვილი შვეიცარულ ფირმასაც აქვს. თუ კონკურსში მონაწილე ქართული ფირმის პროექტი საუკეთესო აღმოჩნდება, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცებს იმას, რომ საქართველოს ეკონომიკის განმტკიცების მსურველი და სათანადო ფინანსური შესაძლებლობების ადამიანები თვით საქართველოშიც დღითი-დღე მრავლდებიან.

#### ქვეყანაში არსებული სტაბილურობაც ხელს უწყობს

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, უცხოელ ინვესტორებს ყველაზე მეტად იზიდავთ საქართველოს მრეწველობა. ეს გასაგებიცაა. საქართველოში არის ისეთი პირობები, რომ შესაძლებელია არსებული საწარმოების რეკონსტრუქციის საშუალებით დამზადდეს ისეთი პროდუქცია, რომელზეც იქნება მოთხოვნილება, ამასთან კონკურენციას გაუწევს მრავალი ქვეყნის ნაწარმს.

სამი კვარტლის შედეგების მიხედვით საქართველოს მრეწველობაში ინვესტიციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 17,97 მილიონი დოლარი. ეს საქართველოს მთელი კაპიტალური დაბანდების 40,3 პროცენტია. ინვესტიციათა უდიდესი ნაწილი მოდის ნავთობისა და გაზის მრეწველობაზე, შავ მეტალურგიაზე და ა.შ.

უცხოელ ინვესტორთა ასეთი ნაბიჯები იმაზეც მეტყველებს, რომ ქვეყანაში ვითარება სტაბილური ხდება, რაც დაინტერესებულ ფირმებს იმედიანი საქმიანობის საშუალებას აძლევს.

#### სამართლებრივი საფუძველი

გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი "გარემოს დაცვითი ნებართვის შესახებ". კანონის პრეამბულაში ნათქვამია, რომ იგი "აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ასევე, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს."

კანონის ძალაში შესვლამ უნდა უზრუნველყოს გარემოსდაცვით ღონისძიებათა კომპლექსის სრულად ამოქმედება.

## ორი ქვეყნის საქმიანი მეგობრობის ნაყოფში დიდი ქონებაა

# უკრაინელები პირველები არიან...

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი **ავთანდილ სილაგაძე**



- როგორც მოგეხსენებათ, უკრაინის მთავრობის ვიზიტის დროს მომზადდა მთელი რიგი ხელშეკრულებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის იყო საკუთრებრივი ურთიერთობების მოწესრიგების თაობაზე ხელშეკრულება, რომელზეც წინასწარ ვმუშაობდით. ჩვენ მოვამზადეთ და ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს საკუთრებითი ურთიერთობების რეგულირების თაობაზე უკრაინასა და საქართველოს შორის, რომლის არსი იყო ის, რომ ჩვენ ვცნოთ ერთმანეთის ტერიტორიაზე განლაგებული ცალკეული ობიექტების საკუთრება ბიშკეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. არის გარკვეული ობიექტები ჩვენს ქვეყნებში, რომლის ცნობაც გვსურს როგორც ქართველებს, ასევე უკრაინელებს. ზოგიერთი ობიექტი უკრაინის ტერიტორიაზე იყო საქართველოს საკუთრება და ახლა მოვითხოვთ მოხდეს მისი კვლავ აღიარება, რომ ეს რეალურადაა ჩვენი საკუთრება.

*- მოხერხდა ამის მიღწევა?*

- ძირითადად, მიღწეულია შეთანხმება. ამ ხელშეკრულებას 5 ნოემბერს მოეწერა ხელი და ხაზგასმით შეიძლება ითქვას ერთი რამ: იმ ობიექტების მდგომარეობა, რომლებიც საქართველოშია განლაგებული და უკრაინის მხარეს სურს, რომ მისი საკუთრება იყოს, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე, განიხილება მხოლოდ და მხოლოდ უკრაინისა და საქართველოს მხარეების წარმომადგენლების მოლაპარაკების შედეგად.

თითოეული ასეთი ობიექტის საკუთრების აღიარება ორი მხარის მონაწილეობით გადაწყდება და მასში ვერავინ ჩაერევა.

*- რა ობიექტებზეა საუბარი?*

- ჩვენ ობიექტების ნუსხა გვაქვს და თითოეულ მათგანის საკითხს ინდივიდუალურად განვიხილავთ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია.

*- შავი ზღვის ფლოტის საკითხზე თუ ესაუბრეთ კოლეგას?*

- ჩვენ გვქონდა საუბარი შავი ზღვის ფლოტის ქონებასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, რომ ერთი შეხვედრით ეს საკითხი, რომელიც როგორც იცით, მეტად მტკივნეულია უკრაინისათვის, ვერ გადაწყდება. მაგრამ შევთანხმდით და ეს ხელშეკრულებაში აისახა, რომ ცალკეული სამგზავრო და სატრანსპორტო გემების საკითხი შეიძლება იქცეს ჩვენი შემდგომი შეხვედრების განხილვის საგნად.

ეს არის ძირითადი არსი. ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა ხელი მოაწერა მთავრობის სახელით ამ ხელშეკრულებას და ქონებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულებაც ძალაში შევა მას შემდეგ, რაც უკრაინისა და საქართველოს პარლამენტების მიერ მოხდება მისი რატიფიცირება.

გარდა ამისა, გამოცდილების გაზიარების მიზნით, დაისახა შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის გზები. მათ ბევრი რამ აინტერესებთ საქართველოში მიმდინარე პრივატიზების შესახებ და ჩვენთვისაც არ იქნება ურიგო გავიზიაროთ მათი გამოცდილება.

*- თუ საიდუმლო არ არის, რა ქონება გვაქვს უკრაინაში?*

- ჯერჯერობით დავადგინეთ, რომ დონეცკის ოლქის ტერიტორიაზე, სელიდოვოში არის ღვინის ქარხანა.

*- მათი ქონება ჩვენთან?*

- მათ აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად მომსახურების სფეროს ობიექტები, დასასვენებელი სახლები და სხვა.

მთავარია, რომ ნებისმიერი საკითხი გადაწყდება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს და უკრაინის მიერ.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მსგავსი ხელშეკრულება ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკასთან ჩვენ ჯერჯერობით არ დაგვიდია. უკრაინელები პირველები არიან.

ესაუბრა **გიორგი ბოჭორიშვილი**

# "მსგავსი შეთანხმება აზერბაიჯანთან და თურქმენეთთანაც უნდა გაფორმდეს"

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე **გურამ დიდბარიძე**



უკრაინის ქონების მართვის მინისტრის ვიზიტთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს ქონების მართვის მინისტრის მოადგილეს ბატონ გურამ დიდბარიძეს.

"მესაკუთრე": *ბატონო გურამ! თქვენი აზრით რა შედეგი გამოიღო საქართველოში უკრაინის დელეგაციის ვიზიტმა?*

გურამ დიდბარიძე: ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ უკრაინის სახელმწიფოსთან საკუთრებითი ურთიერთობების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილი იქნა 5 ნოემბერს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრის ბატონ ლაზარენკოს მიერ. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამ ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობა დავიწყეთ ჯერ კიდევ 4-5 თვით ადრე. აღნიშნულ პროცესს წინ უსწრებდა საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში, რომლის წევრი მეც გახლდით. საყურადღებო ფაქტია, რომ ჩვენც და უკრაინელებსაც გვქონდა განსხვავებული შეხედულებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხერხდა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ ჩვენ ვაღიარებთ, როგორც უკრაინელი მოქალაქეების ქონებას საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ქართველი მოქალაქეებისას უკრაინის ტერიტორიაზე. აგრეთვე აღსანიშნავია როგორც უკრაინის, ისე საქართველოს ფარგლებში მდებარე ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების საკითხი. ამასთან დაკავშირებით უკვე შექმნილია მომუშავეთა ჯგუფი და უახლოეს პერიოდში განისაზღვრება თუ რა წესით მოხდება ამ ქონების აღიარება. ამასთანავე გასათვალისწინებელია თუ რა პერიოდში იქნა გამოყოფილი ესა თუ ის მიწის ნაკვეთი, ვინ მისცა ნებართვა მშენებლობაზე, ვის მიერ იქნა დამტკიცებული პროექტი, როდის იყო მიღებული ექსპლოატაციაში, როგორ ფინანსირდებოდა და ა.შ. ეს ყველაფერი კიდევ საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, ასე რომ, თუ ეს ყველა დოკუმენტი იქნება წარმოდგენილი, მაშინ ჩვენს მიერ ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების საკითხიც აღიარებული იქნება, მაგრამ აქვე არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: ჩვენ პრივატიზებას ვახდენთ ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის მიხედვით და ეს ფაქტიც ასევე დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში.

ქონების მართვის სამინისტროს მიაჩნია, რომ ასეთი სახის ხელშეკრულებები გასაფორმებელია აზერბაიჯანთან და თურქმენეთთან, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, ეს ხელმოწერილი იქნა ჯერ კიდევ 1992 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელმძღვანელთა შეკრებაზე, რომელსაც საქართველო 1995 წელს შეუერთდა, ამიტომაც თურქმენეთის და აზერბაიჯანის გარდა სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულების გაფორმება აუცილებლობას არ წარმოადგენს. მე ვფიქრობ, რომ ამ კუთხით ქართულ მხარეს სერიოზული მუშაობა მოუწევს.

ესაუბრა **გიგი ბერაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გვესაუბრება საქტელერადიო კორპორაციის პოლიტიკური მიმომხილველი ნოდარ ბეთანიშვილი

# „ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ თავიდანვე სწორ გზას მივყვებოდით...“



სავიზიტო ბარათი

**დაიბადა 1932 წლის 20 აპრილს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. 1956 წლიდან მუშაობს რადიოსა და ტელევიზიაში. 5 წელი მდივნობდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს. ამჟამად რადიოში მოღვაწეობის პარალელურად ლექციებს კითხულობს მშობლიური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.**

**ჰყავს მეუღლე (ჟურნალისტი), შვილი (ჟურნალისტი), რძალი და ორი შვილიშვილი.**

"მესაკუთრე": *ბატონო ნოდარ! თქვენი მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე გამოიცვალა რამდენიმე მთავრობა. ამისდამიხედვით იცვლებოდა პოლიტიკური აქცენტებიც. თქვენს თვალწინ შეიცვალა საზოგადოებრივი წყობაც. თქვენში, როგორც პიროვნებასა და ჟურნალისტში რა რჩებოდა და რა იცვლებოდა?*

ნოდარ ბეთანიშვილი: უცვლელი რჩებოდა პროფესიისადმი რწმენა და სიყვარული. ცხადია, ძალიან ძნელი იყო ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლა, მაგრამ ბევრ რამეს ვეგუები იმ ლოგიკით, რომ ეს საჭირო და სასარგებლოა ხალხისა და ქვეყნისათვის. ამიტომ ვცდილობ, აქცენტები გადავიტანო სასიკეთოზე. ისე კი, ჩვენი თაობის მთლიანად გარდაქმნა მეტად რთულია. ბევრი რამ გვრჩება, ყოველშემთხვევაში ვცდილობთ შევინარჩუნოთ, რაც კეთილი და სასიკეთო იყო.

"მ": *თქვენ დიდი ხნის წინათ დაინტერესდით ეკონომიკით, შემდეგ ეკონომიკური რეფორმებით. ამ თემებზე მიგყავდათ გადაცემები ტელევიზიით, რადიოთი. რამ განაპირობა თქვენი ჟურნალისტური საქმიანობის ასეთი სპეციალიზაცია?*

ნ.ბ.: ჩემი მუშაობის პირველ ეტაპზე ეკონომიკისგან ძალიან შორს ვიყავი. გაზეთს რომ ვკითხულობდი, ამ თემაზე დაწერილ სტატიას გამოვტოვებდი ხოლმე. მერე, როცა სოციალურ საკითხებს შევეხე, ეკონომიკამ მაშინ დამაინტერესა. სწავლა თავიდან დავიწყე. მერე "მოძულებულ" სტატიებს რომანივით ვკითხულობდი. ყოველმა ციფრმა აზრი შეიძინა. ადრეც საკმაოდ კრიტიკულ გადაცემებს ვამზადებდი. ახლაც ვცდილობ კარგად დავინახო, თუ როგორ ვითარდება ახალი ეკონომიკური ურთიერთობები.

"მ": *თქვენ დიდხანს მუშაობდით ენერგეტიკის პრობლემებზე. რამდენად ეფექტიანად გეჩვენებათ ის მუშაობა და როგორია დღეს თქვენი პოზიცია?*

ნ.ბ.: ჩვენ ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. ადრე ერთიან სისტემაში ვიყავით ჩართული, ახლა როცა ავტონომიური არსებობა დავიწყეთ, ეს საკითხი სრულიად ახლებურად წარმოჩინდა. მე ახლაც მგონია, რომ თავის დროზე ზოგიერთ ჰესზე უარის თქმა, დიდი ცოდვა იყო. ჩემთვის ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად ეფექტიანად ვიშრომე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სწორად ვიქცეოდით, როცა ენერგეტიკას დიდ ყურადღებას ვუთმობდით. ოღონდ ეგ არის, რომ ერთი სენი გვჭირს ყველას, მთელ საზოგადოებას - მოხმარება ვიცით, გადახდა გვეზარება. პურს ნისიად არავინ მოგვცემს. ამიტომ ფულს მაშინვე ვიხდით. ვისაც გაზის მრიცხველი დაუდგეს, ყველა გახარებულია. 4 ლარისა და 40 თეთრის ნაცვლად, რაც საერთოდ გათვალისწინებულია, დღეს თითქმის ყველა ოჯახი 2 ლარს ხარჯავს - მორჩება საქმეს და ონკანს დაკეტავს, უფრთხილდება. ელექტროენერგიაზე ასე ნამდვილად არავინ ზრუნავს. როცა ასეთ ყაირათიანობას ენერგეტიკაშიც მივაღწევთ, ისიც დაჩქარებულად განვითარდება.

"მ": *პრივატიზების პროცესის დაწყებიდან თქვენ აქტიურად ჩაებით მის გაშუქებაში. შეიძლება ითქვას, რომ პროცესის შუაგულში ტრიალებთ. რამ დატოვა თქვენში ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება?*

ნ.ბ.: საუბარი თავიდან რწმენით დავიწყეთ. ახლაც ვიმეორებ, რომ, თუ ჟურნალისტს თვითონ არ სჯერა საქმის სიკეთისა, მაშინ მის პროპაგანდას (ნუ გეშინია ამ სიტყვის) ვერაფრით ვერ გასწევს. პრივატიზების სიკეთეს თამამად ვაღიარებ, რადგან ეს არის ჩვენი მომავალი. ყველაფერს თავისი პატრონი უნდა ჰყავდეს. სჯობია გაყიდო იაფად, მაგრამ საწარმოს გაუჩინო მესაკუთრე, რომელიც მას განადგურებისაგან იხსნის, შემდეგ კი ქვეყნის სამსახურში ჩააყენებს. ახლა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების 75 პროცენტი უპატრონოა. მე ილუზია არასოდეს მქონია იმისა, რომ დივიდენდს მივიღებთ ხვალ. დივიდენდები მაშინ გაჩნდება, როცა ეკონომიკა აღორძინდება. ეს კი მაშინ მოხდება, როცა ყველაფერს თავისი პატრონი ეყოლება.

მცირე პრივატიზების დროს მოვამზადეთ 250-ზე მეტი გადაცემა და ვიყავით ერთგვარი ორგანიზატორებიც. მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით და მთავრობის გადაწყვეტილებით ოჯახმა ვაუჩერი მიიღო პრივატიზებამდე ერთი წლის მანძილზე გარდაცვლილი წევრის სახელზეც. ეს ჩვენი იდეა იყო.

"მ": *თქვენი, საქმეში ჩახედული კაცის აზრით, რა ნაკლი ჰქონდა სახელმწიფო ქონების პრივატიზებას, რომლის გამოსწორება დღესაც შეიძლება?*

ნ.ბ.: ჩვენ თავიდანვე მოვუწოდებდით მოსახლეობას, რომ არ გაეყიდათ თავიანთი ვაუჩერები და მართლებიც ვიყავით. ის ვაუჩერი, რომელიც მეტად იაფი იყო, დღეს ძალიან გაძვირდა. უკვე აქციის ფასმა აიწია, არაფერს ვამბობ დივიდენდებზე.

რა ნაკლი ჰქონდა პრივატიზებას? პირველი და უმთავრესი ნაკლი იყო ის, რომ თავიდანვე ზუსტად განსაზღვრული არ გვქონდა, თუ რა ქონების პატრონები ვიყავით, რისი გაყიდვა შეგვეძლო და რა ოდენობით. ეს მხოლოდ ახლა ხდება, შეიძლება ერთგვარი დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვახდენთ უძრავი ქონების ინვენტარიზაციას. ასევე ნუსხაში შეტანილი იყო ისეთი ობიექტები, რომელთაც არც მაშინ გააჩნდათ რაიმე ღირებულება და არც პერსპექტივაში ექნებათ. ისინი ფაქტიურად ვერაფერს გააკეთებენ.

უნდა აღინიშნოს ერთიც: კაპიტალი, რომელიც ზოგიერთმა სახელმწიფო ქონების შეძენას მოახმარა, არ იყო პატიოსანი გზით შეძენილი. ვისაც დიდი ფული ჰქონდა დაგროვილი, იმან დრო იშოვა, შეიძინა 1000-2000 აქცია და შესაბამისი ქონების მფლობელი გახდა, ესე იგი თავისი არალეგალური კაპიტალის ლეგალიზაცია მოახდინა. ეს მაშინ, როცა ჩვეულებრივ მოქალაქეს თავისი ვაუჩერით შეეძლო მაქსიმუმ 10 აქციის შეძენა.

იყო სხვა .მომენტიც. თქვენ იცით, გახმაურებული ამბავი, რომ ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, გადაიხადა თურქმენეთის გაზის საფასური და მის სანაცვლოდ მეტად მომგებიან საწარმოებს დაეპატრონა.

"მ": *ჟურნალისტებს რა უნდა გაგვეკეთებინა, რომ ეს პროცესი უფრო სწორად და, რაც მთავარია, სწრაფად წარმართულიყო.*

ნ.ბ.: ყველაზე მთავარი - უფრო მჭიდრო კონტაქტი უნდა გვქონოდა ქონების მართვის სამინისტროსთან, რათა თავად გავთვითცნობიერებულიყავით. ეს თანდათან მოხდა. მე არ ვეკუთვნი იმ კატეგორიას, ვინც თავიდანვე პროცესის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ერთ რამეზე მწყდება გული. ვინც გასაყიდ ქონებას საკუთარი ხელებით ქმნიდა, ის ან გარდაიცვალა პრივატიზების დაწყებამდე ან დღეს სიღატაკეში ცხოვრობს. პრივატიზების პრობლემებზე მომუშავე ჟურნალისტებს აქაც შეგვეძლო რაღაცის გაკეთება, ცხადია, პროცესის შეუფერხებლად.

ცალკე დგას აფხაზეთის, იქიდან ლტოლვილთა სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ჩართვის საკითხი. ჩვენ ხომ ისიც არ ვიცით, იქ რა გვაქვს, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა და, თუ თქვენი სურვილიც იქნება, შეიძლება სხვა დროს ვილაპარაკოთ.

"მ": *თუ საიდუმლო არ არის, სად დააბანდეთ თქვენი ვაუჩერი?*

ნ.ბ.: ვფიქრობ, დიდ საიდუმლოებას არ გავცემ, თუ გეტყვით, რომ ისინი მარნეულის პურ-კომბინატს გადავეცი, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო იქ დღემდე ვერ ჩავედი და აქციები აღებული არა მაქვს.

"მ": *მოგებასაც მოელით?*

ნ.ბ.: ცხადია, თორემ მეც "შავ ბაზარზე" გავყიდდი.

## გვესაუბრება საავტორო საინფორმაციო-სატელევიზიო სტუდიის (4-ს) გენერალური დირექტორი მიხეილ ხოშტარია

# „აუქციონებში მონაწილეობის დიდი სურვილი მაქვს, შესაძლებლობა - შეზღუდული“



სავიზიტო ბარათი

**დაიბადა 1941 წლის 31 ოქტომბერს. დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ ასპირანტურა მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმთა თეორიის განხრით. მუშაობდა კიბერნეტიკის ინსტიტუტში. თარგმნიდა ფრანგულიდან, აქვეყნებდა კიდეც. აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ "ლელოსთან". შემდეგ საქართველოს ტელევიზიასთან, 1973 წლიდან უძღვებოდა გადაცემათა ციკლს ეკონომიკური რეფორმების თემებზე. მათ შორის პრივატიზების პრობლემებზე.**

**ჰყავს მეუღლე, ორი შვილი, ერთი შვილიშვილი.**

"მესაკუთრე": *ბატონო მიხეილ! აქამდე თქვენ ეკითხებოდით და პასუხს ღებულობდით. ამჯერად პირიქით არის. ჩვენთან საუბარი თქვენში რაიმე უხერხულ გრძნობას ხომ არ იწვევს?*

მიხეილ ხოშტარია: სულაც არა. პირიქით - იმედი მაქვს, რომ უფრო იოლად გავუგებთ ერთმანეთს.

"მ.": *ახლა ჩვენ სეხნიები ვართ. თქვენს გადაცემათა ციკლსა და ჩვენს გაზეთს "მესაკუთრე" ჰქვია. გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ მხოლოდ წერის საშუალება გვაქვს. თქვენ რა ქონებას ფლობთ?*

მ.ხ.: ჩვენ გვაქვს გარკვეული ტექნიკა, სამონტაჟო, საინტერესო ეფექტები და შეგვიძლია დავამონტაჟოთ ნებისმიერი გადაცემა, სარეკლამო კლიპი და ა.შ. შემიძლია ვთქვა, რომ გვაქვს მუშაობის ნორმალური პირობები.

"მ.": *რა მიზანს ისახავს თქვენი სტუდია და რამდენად რეალურად გეჩვენებათ მისი განხორციელება?*

მ.ხ.: მიზნები დიდი გვაქვს, მაგრამ თუ არ გვექნა საეთერო დრო, მაშინ ჩვენი ტექნიკა უმოქმედოდ დარჩება. ჩვენს მომზადებულ გადაცემას მხოლოდ ჩვენს სამონტაჟოში ნახავთ. ამიტომ აუცილებელია გვქონდეს საქართველოს ტელევიზიით ეთერში გასვლის საშუალება.

"მ.": *ვისზე ან რაზეა დამოკიდებული თქვენთვის საეთერო დროის მოცემა?*

მ.ხ.: ჩვენ ახლა წარმოვადგენთ არა საქართველოს ტელევიზიის სტრუქტურას, არამედ დამოუკიდებელ სტუდიას. მისი დამფუძნებლები ვართ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და პირადად მე. ამდენად, ეს არის კერძო სტუდია და საეთერო დრო ტელევიზიისაგან უნდა ვიყიდოთ ამ სიტყვის ყველაზე პირდაპირი გაგებით. ახლა მიმდინარეობს ტელევიზიასთან მოლაპარაკება და, ალბათ, რაღაცაზე შევთანხმდებით.

"მ.": *თქვენ დიდხანს უძღვებოდით ტელეგადაცემათა ციკლს ძირითადად ეკონომიკური რეფორმების თაობაზე, მათ შორის სახელმწიფო ქონების პრივატიზების პრობლემებზე. ხვდებოდით მრავალ ადამიანს - სპეციალისტებს, უბრალოდ, დაინტერესებულ პირებს, ჩვეულებრივ მოქალაქეებს. რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ამ შეხვედრებმა და აქედან გამომდინარე როგორ შეაფასებდით პრივატიზების პროცესისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას?*

მ.ხ.: დავიწყებ შთაბეჭდილებებით და ვიტყვი, ძალიან მძიმე განწყობილება შემექმნა იმ თვალსაზრისით, რომ ერთი საზოგადოებრივი სისტემიდან მეორეზე გადასვლა იმდენად სწრაფად მოხდა, მოსახლეობამ ამისთვის მომზადება ვერ მოასწრო. ეს გასაგებიცაა, მაგრამ იყო მეორე მომენტი - პროცესის დაწყების დროს საზოგადოებას გარკვეული მიზეზების გამო სახელმწიფოსადმი ნდობა დაკარგული ჰქონდა. მოსახლეობა სახელმწიფოს მიერ წამოწყებულ ყოველ სიახლეს ეჭვით უმზერდა. ბევრი ახლაც უნდობლად უყურებს პრივატიზების მიმდინარეობას და მითუმეტეს ადრეულ ეტაპზე მართლაც უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. ზუსტი მიზეზების გარკვევა ჩემთვის ძალიან ძნელია. არის გამოკვლევები, სადაც ყველაფერი თითქოს ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ ერთია გამოკვლევა და მეორე, როცა უშუალოდ ესაუბრები ცოცხალ ადამიანს. ამ უკანასკნელზე დაყრდნობით ვფიქრობ, რომ ხალხმა პრივატიზების ნამდვილი არსი დღემდე ვერ გაითავისა. ფიქრობდნენ, რომ აიღებდნენ ვაუჩერს, ჩადებდნენ საქმეში და დივიდენდებით იცხოვრებდნენ. როცა სინამდვილეში საქმე ასეთი მარტივი არ აღმოჩნდა, გაჩნდა ერთგვარი იმედგაცრუების ელემენტები. შეიძლება ეს ყველასი, მათ შორის ჩვენი გადაცემების ბრალიც არის. კარგად ვერ გავაგებინეთ მკითხველს თუ ტელემაყურებელს პრივატიზების ნამდვილი არსი.

"მ.": *თქვენი აზრით, რა როლი ითამაშა ამ პროცესის წარმართვაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა?*

მ.ხ.: მასმედია მუშაობდა, მაგრამ, ალბათ, სიდუხჭირის გამო მკითხველი იყო ცოტა - ხალხი გაზეთს ვერ ყიდულობდა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ყველაზე აქტიური იყო ტელევიზია. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ტელევიზიისგან იღებს ინფორმაციას. რა უცნაურიც უნდა იყოს, ერთი ნაწილი კიდევ ნაცნობ-მეგობრებისაგან, თუ არ ვცდები, 11 პროცენტი ინფორმაციას იღებდა პრესისაგან და შემდეგ მოდიოდა რადიომაუწყებლობა. ახლა ვითარება იზრდება პრესის სასარგებლოდ. სახელმწიფო ტელევიზიას მაყურებელი დარჩა, მაგრამ კონკურენტებიც ბლომად გამოუჩნდნენ. მარტო აიტი-ტი-ვი-ს თბილისში 11 ათასი აბონენტი ჰყავს. დაუმატეთ ამას საკაბელო ტელევიზია. ყველა ესენი მაყურებელს ართმევენ საქართველოს ტელევიზიას, რომლითაც ჩვენი პროგრამები გადაიცემა.

კიდევ უნდა გავიმეორო: მასმედია მუშაობდა, მაგრამ "მომხმარებელთან" მისვლის ეფექტიანობა იყო დაბალი. მეც მაქვს უკმარისობის გრძნობა. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ. მრავალი გადაცემა გავაკეთეთ ვაუჩერებზე, ვუჩვენეთ ეკრანიდან, განვუმარტეთ მიღების მექანიზმი და ტელევიზიაში მაინც რეკავდნენ, გვეკითხებოდნენ, თუ სად უნდა მიეღოთ თავიანთი ვაუჩერი. ეტყობა, ჩვენსა და მაყურებელს, მკითხველს შორის ხიდი გაიბზარა და ინფორმაცია სრული სახით ადრესატამდე არ მიდის. ეს მიმაჩნია ჩვენს ყველაზე დიდ ნაკლად.

"მ.": *რაში გამოიყენეთ თქვენი ვაუჩერი, სად დააბანდეთ?*

მ.ხ.: ჩემს ოჯახს სულ 7 ვაუჩერი ჰქონდა და ისინი, თუ შეიძლება ითქვას, "შევწირე" მაყურებლის ინფორმირებას. მაშინ აუქციონები ყოველ კვირა იმართებოდა, მეც ჩემს ვაუჩერს ვუჩვენებდი მაყურებელს და ვეუბნებოდი, რომ ხვალ ეს ვაუჩერი შემაქვს ამა და ამ აუქციონში მონაწილე სააქციო საზოგადოების აქციების მისაღებად-თქო. ჩემი აზრით, ვაკვალიანებდი და თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, გარკვეულ შედეგსაც ვაღწევდი. როცა ვაუჩერის ჩასაბარებლად მივდიოდი, ყველაზე დიდი რიგები ჩემს მიერ დასახელებულ ობიექტებთან იდგა.

"მ.": *ახლა თუ აპირებთ სპეციალიზებულ აუქციონებში მონაწილეობის მიღებას და, თუ საიდუმლო არ არის, სად გინდათ თანხის დაბანდება?*

მ.ხ.: ვიდრე ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მანამდე მინდა გითხრათ, რომ მე პრივატიზების აქტიური მომხრე ვარ. აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს კერძო მესაკუთრეთა ფენა. ამაში მარწმუნებს ისიც, ბევრი საწარმო, რომელსაც სახელმწიფო ვერ უვლიდა და კერძო პირების ხელში გადავიდა, უკვე მუშაობს. ცოტას, მაგრამ მაინც ქმნის სამამულო პროდუქციას. რაც შეეხება თავად კითხვას, თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჟურნალისტის ჯიბის ამბავი. სურვილი დიდი მაქვს, შესაძლებლობა - შეზღუდული.

"მ.": *ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!*

მ.ხ.: გმადლობთ და თქვენს გაზეთს, რომელიც დღეიდან ახალი სახელით გამოდის, ვუსურვებ მკითხველთან მისასვლელი გზის პოვნას. ცუდად ნურავინ ჩამომართმევს და, ამ ბოლო დროს გაზეთი საინტერესო გახდა. მრავალ პრობლემას დამაჯერებლად და ორიგინალურად აანალიზებთ.

"მ.": *გვიჯობს გვითხრათ, თუ რას გვისურვებდით?*

მ.ხ.: მკითხველსა და გაზეთს შორის მყარი და ფართო ორმხრივი კავშირის დამყარებას.

ნომრის სტუმრებს
ესაუბრა რ. ქორიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრივატიზების მაცნე №35

## საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

# №4 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხისა და №3 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხებში ცვლილებების დამტკიცების შესახებ

მასობრივი პრივატიზების პროცესების გეგმაზომიერი განვითარების, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების შემდგომი რეალიზაციის მიზნით და ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 7 ნოემბრის ბრძანების თანახმად:

"1. მოქმედი წესით დამტკიცდეს იმ სააქციო საზოგადოებათა თანდართული ჩამონათვალი, რომელთა აქციების (აქციათა პაკეტების) პრივატიზება გათვალისწინებულია №4 სპეციალიზებულ აუქციონზე (დანართი №1);

1.1. აუქციონზე გადახდის საშუალებად მიიღება ეროვნული ვალუტა (ლარი) და გადახდილი თანხა უნდა იყოს 21 აშშ დოლარის ან მისი ჯერადის ექვივალენტური ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

2. აუქციონზე გასაყიდი აქციათა განლაგების და სააქციო საზოგადოებების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დამატებითი, ამომწურავი ინფორმაცია მყიდველებს შეუძლიათ მიიღონ უშუალოდ სააქციო საზოგადოებაში, ნუსხაში მითითებულ მისამართზე.

2.1. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია შეუფერხებლად უზრუნველყოს მყიდველებისათვის აუცილებელი ინფორმაციის გაცნობა და მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ინფორმაციის სისწორეზე.

3. დაევალოს 1996 წლის № 1-3/430 ბრძანებით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების (აქციათა პაკეტების) მართვის უფლებით გადაცემის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კომისიას (თავმჯდომარე ბ-ნი ე. ჯუღელი) უზრუნველყოს აუქციონების დადგენილ, ამ ბრძანებაზე თანდართულ ნუსხაში მითითებულ ვადაში ჩატარება არსებული წესების შესაბამისად.

4. ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით შეტანილი იქნას ცვლილება №3 სპეციალიზებულ აუქციონის ნუსხაში;

4.1. სააქციო საზოგადოება "აგრომრეწვბანკი"-ს (№ 758) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №3 სპეციალიზებულ საბარათო აუქციონის ნუსხაში მითითებული 678808-სა უნდა იყოს 642600, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 30,17-სა უნდა იყოს 28,56, ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში ნაცვლად 678808-სა უნდა იყოს 642600, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 1018212-სა უნდა იყოს 963900;

5. სპეციალიზებულ აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში და შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

5.1. დაევალოს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს (ბ-ნი ვ. ჩხაიძე) და სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს შემოსული განაცხადების აღრიცხვა აწარმოონ ამ მიზნით გახსნილ, სპეციალურ, ფურცლებდანომრილ, ზონარგაყრილ და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

5.2. სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები, განაცხადების მიღების დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღის ვადაში, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში წარმოადგენენ ტერიტორიული ორგანოს ბეჭდით დამოწმებულ ინფორმაციას ადგილზე მიღებული განაცხადების და გადახდილი თანხების შესახებ დადგენილი ფორმით.

ინფორმაციის წარდგენა სამინისტროში აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილზე განაცხადები არ იყო შეტანილი.

დადგენილი ვადის დაგვიანებით წარმოდგენილი ინფორმაცია არ განიხილება, აუქციონის შედეგების გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება და პასუხისმგებლობა განმცხადებლის წინაშე დაეკისრება სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს.

6. დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (ბ-ნი მ. გაბუნია):

6.1. უზრუნველყოს ამ დადგენილებაზე თანდართული ნუსხის და ცვლილებების შესახებ ინფორმაციის "პრივატიზების მაცნე"-ში გამოქვეყნება.

6.2. სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს მათ ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოებების აუქციონის და ცვლილებების შესახებ ინფორმირება.

7. აქციების (აქციათა პაკეტების) შესაძენად საჭირო თანხების გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიმდინარე ანგარიშზე № 001141776 მფო 521017 სააქციო-კომერციული ბანკის "საქართველოს ბანკის" სათაო განყოფილებაში ან სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების მომსახურე საბანკო დაწესებულებებში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

8. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ ე. ჯუღელს.

## №4 სპეციალიზებული აუქციონი

- განაცხადები დადგენილი წესით მიიღება 1996 წლის 15 ნოემბრიდან 10 დეკემბრის 17 საათამდე ქ. თბილისში ჭავჭავაძის გამზ. №64, ოთახი №219 (სახ. ქონების მართვის სამინისტროს შენობაში) ან სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით
- 1 აქციის ნომინალური ღირებულება = 1,46 აშშ დოლარის ექვივ-ს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აუქციონზე = 2,1 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) გარდა მუქი ფერით გამოყოფილი ს/საზოგადოებების აქციებისა, რომელთა 1 აქცია=1 აშშ დოლარის ექვივალენტს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აუქციონზე = 1,5 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.
- შესაბამისად, აუქციონის შედეგად, გადახდილი ყოველი 21 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხის სანაცვლოდ, შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 10 ცალი 1,46 აშშ დოლარის ან 14 ცალი 1 აშშ დოლარის ექვივალენტური ნომინალური ღირებულების აქცია

| № | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყ.აქციების რაოდ. | % საწესდებო კაპიტალი | ნომინალური ღირებულება აშშ დოლ. | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლ. | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავებ. მიწის ფართ.ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 234"იმერი"(ხარაგ.სამრ.სავაჭრ.ფ-მა) | 85067. | 34384 | 40.42 | 50269.0058 | 72206.4 | 590-234 | დ.ხარაგაული,9 აპრილის 1, ტ.21821 | ი.კელენჯერიძე | 7 |
| 2 | 235."მარელისი"(ხარაგ.მარელ.გრეხ.ავეჯ.ფ) | 264548 | 92479 | 34.96 | 135203.216 | 194205.9 | 590-235 | ხარაგაული,სოფ.მარელისი | კ.მაღრაძე | 2.75 |
| 3 | 236."ბორჯომის მინის ტარა"(ბორჯ.მ.ტ-ს ქ) | 146757 | 1262 | 0.86 | 1845.02924 | 2650.2 | 130-236 | ბორჯომი,თორის 22,ტ.23021 | გ.კურტანიძე | |
| 4 | 254."კომფორტი"(სახელმწ.სავაჭრო საწ.) | 163818 | 51085 | 31.18 | 74685.6725 | 107278.5 | 237-254 | თბილისი,ვაშლიჯვარი | ო.ბრეგვაძე | 0.53 |
| 5 | 261."ვიტა"(სამტრედიის №1 საკონს.ქ-ნა) | 327711 | 3883 | 1.185 | 5676.90058 | 8154.3 | 410-261 | სამტრედია,გეგეშიძის 61,ტ.23251 | რ.ქართველიშვილი | 8 |
| 6 | 300."ლარი"(გორის ცენტრალური უნივერ.) | 40910 | 966 | 2.361 | 1412.2807 | 2028.6 | 150-300 | გორი,სტალინის პრ.14,ტ.22046 | ნ.ექვთიმიშვილი | 0.32 |
| 7 | 306."ექსპრესი-92"(სადგ.თბ.საკვ.მრ.დ.კ-ტი) | 60311 | 13876 | 23.01 | 20286.5497 | 29139.6 | 233-306 | მეველეს 1,ტ.717821,717465 | ო.ოსიყმიშვილი | |
| 8 | 314."ლაო"(ზუგდიდის ჩაის კ-ტი) | 401587 | 137678 | 34.28 | 201283.626 | 289123.8 | 220-314 | ზუგდიდი,პარიზის კომუნის 50,ტ.25471 | ნ.გულუა | |
| 9 | 349."სამტრედიის ნავთობპროდუქტი"(კშს) | 140965 | 10178 | 7.22 | 14880.117 | 21373.8 | 410-349 | სამტრედია,კიკვიძის 19,ტ.23303 | თ. ტორონჯაძე | 6 |
| 10 | 351."ხიდმშენი"(დამოუკ.სახ.საწ.ფ."ხიდი") | 898879 | 13511 | 1.503 | 19752.924 | 28373.1 | 234-351 | ლესელიძის 15,ტ.987200,985959 | ჯ.მამალაძე | |
| 11 | 361."ახმეტის ბიოქიმიური ქარხანა" | 93342 | 721 | 0.772 | 1054.09357 | 1514.1 | 090-361 | ახმეტა,რუსთაველის 110,ტ.21812,21612 | | |
| 12 | 364."ნავთობპროდუქტი"(ტყიბულის კშს) | 123100 | 7655 | 6.219 | 11191.5205 | 16075.5 | 450-364 | ტყიბული,ბარათაშვილის 2ა,ტ.22488 | უ.დალაქიშვილი | |
| 13 | 368."მარჯი"(ზესტაფ.პოლიგრაფ.საწარმო) | 31683 | 373 | 1.177 | 545.321637 | 783.3 | 210-368 | ზესტაფონი,ზაპოროჟიეს 1, | | 0.19 |
| 14 | 369."იმედი"(ზესტაფონის საკონსერვო ქ-ნა) | 81115 | 7967 | 9.822 | 11647.6608 | 16730.7 | 210-369 | ზესტაფონი,სტაროსელსკის 50 | | 2.5 |
| 15 | 370."ბაჯითი"(საჩხერ.საშ.მას.კ-ტი) | 242702 | 70402 | 29.01 | 102926.901 | 147844.2 | 420-370 | საჩხერე,მაიაკოვსკის 10 | ჯ.ჯაფარიძე | 35 |
| 16 | 371."ელექტრონი"("ფოთიელექტროაპარატი") | 290648 | 212194 | 73.01 | 310225.146 | 445607.4 | 460-371 | ფოთი,ქორქიას 39,ტ.55266,52534 | გ.ფონიავა | 7.5 |
| 17 | 372."ავტოსატრანსპორტო საწარმო №10" | 144461 | 2048 | 1.418 | 2994.15205 | 4300.8 | 236-372 | თემქის დასახლ.№8,პურის ქ-ნასთან | ნ.ნიაური | |
| 18 | 373."ფოთის ხორცკომბინატი" | 52674 | 28271 | 53.67 | 41331.8713 | 59369.1 | 460-373 | ფოთი,ჩეხოვის 1,ტ.53407, | | 1.82 |
| 19 | 374."ფოთის რძის ქ-ნა" | 110671 | 109050 | 98.54 | 159429.825 | 299005 | 460-374 | ფოთი,კოკაიას ხევანი მე-7 კმ.,ტ.53967 | კ.ჯორჯიკია | 1.8 |
| 20 | 377."საქობო"(სიღნაღი,წნორის მექანიკ.ქ-ნა) | 39579 | 28000 | 70.74 | 40935.6725 | 58800 | 440-377 | სიღნაღი,სოფ.საქობო,ბესიკის 10 | შ.სესიტაშვილი | 0.74 |
| 21 | 379."ხაშურის საკისრების ქ-ნა" | 313564 | 924 | 0.295 | 1350.87719 | 1940.4 | 600-379 | ხაშური,სოფ.ოსიაური,ტ.23490,22933 | ვ.ძანაშვილი | 5 |
| 22 | 457."ბორჯომის ტურისტული გაერთიანება" | 149165 | 42063 | 28.2 | 61495.614 | 88332.2 | 130-457 | ბორჯომის პლატო,ტ.22477 | ს.სვანიძე | 6.4 |
| 23 | 601."ობჩა"(ბაღდათ.ღვინ.წარმ.სახ.სკფ"ობჩა") | 54984 | 1849 | 3.363 | 2703.21637 | 3882.9 | 110-601 | ბაღდათი,სოფ.ობჩა | | 1.1 |
| 24 | 639."თბილტრანსექსპედიცია" | 177235 | 69560 | 39.25 | 101695.906 | 146076 | 236-639 | ზედაზნის 4,ტ.660866 | რ.ბერაძე | |
| 25 | 657."სპეცჰიდრომშენი"(მცხ.საინჟ.ნაგ.სამშ.სამმ.) | 82765 | 42147 | 50.92 | 61618.4211 | 88508.7 | 350-657 | ულიანოვის 145-ა,ტ.620288 | რ.ავალიანი | 1.32 |
| 26 | 863."მანავი"(აგროფირმა "მანავი") | 1215000 | 46225 | 3.805 | 4622[illegible] | 69337.5 | 400-863 | საგარეჯოს რ-ნის,სოფ.მანავი,ტ.1-90 | ჯ.მეზვრიშვილი | |
| 27 | 875."ელიტა"(გორის პურპროდუქტების კ-ტი) | 1908318 | 159600 | 8.363 | 159600 | 239399.99 | 150-875 | გორი,შინდისის გზატკ.25,ტ.22240 | კ.ნადირაძე | 12 |
| 28 | 882."ოქროს თავთავი"(ნავთლ. პურპრ.კ-ტი) | 38548 | 3480 | 9.028 | | 5220 | 233-882 | თბილისი,სამგორის 16 | პ.ბაბუციძე | 0.16 |
| 29 | 921."ქუთაისის პურის მიმღები" | 671835 | 17952 | 2.672 | 17952 | 26928 | 480-921 | ქუთაისი, წერეთლის 274 | მ.წივწივაძე | 3.6 |
| 30 | 922."შირაქი"(დედოფლისწყ.-ს ელევატორი) | 1016305 | 31171 | 3.067 | 31171 | 46756.5 | 170-922 | დედოფლისწყაროს რ.,სოფ.წითელიწყარო, | ტ.ქურხულიშვილი | 18 |
| 31 | 923."სენაკის პურკომბინატი" | 155676 | 48810 | 31.36 | 48810 | 73215 | 430-923 | სენაკი,ჭყონდიდელის 10,ტ.21747 | რ.გაბედავა | 0.45 |
| 32 | 948."მარნეულის პურპროდუქტების კ-ტი" | 3252063 | 634122 | 19.5 | 634122 | 951183 | 320-948 | მარნეული,იალღუჯა,ტ.932182 | ი.ქარსელაძე | 27 |
| 33 | 949."კაჭრეთის პურპროდუქტების კ-ტი" | 2720250 | 509000 | 18.71 | 509000 | 763499.99 | 160-949 | გურჯაანი,სოფ.კაჭრეთი | ლ.მარხვაშვილი | 9 |
| 34 | 950."ქუთაისის პურპროდუქტების კ-ტი" | 1336173 | 242160 | 13.19 | 242160 | 363240 | 480-950 | ქუთაისი,შევჩენკოს 1 შესახვ.№18 | თ.შავგულიძე | 10.5 |
| 35 | 1011."ბორჯომის წისქვილქარხანა" | 164233 | 154000 | 93.77 | 154000 | 231000 | 130-1011 | ბორჯომი, თორის ქ.№31,ტ.22335,23139 | გ.ქოქაშვილი | 2.35 |
| 36 | 1012."ბორჯომის პურკომ-ტი" | 272576 | 263000 | 96.49 | 263000 | 394500 | 130-1012 | ბორჯომი,მესხეთის 135,ტ.22390,22406 | გ.გონგლაძე | 1.5 |
| 37 | 1013."ქუთ.№1 პურის ქ-ნა"(ს/გ"ქუთ."№1 პ.ქ.) | 729973 | 718000 | 98.36 | 718000 | 1077000 | 480-1013 | ქუთაისი, ნიკეას 6 | | 1.68 |
| 38 | 1014."ქუთ.№2 პურის ქ-ნა"(ს/გ"ქუთ."№2 პ.ქ.) | 227732 | 218000 | 95.73 | 218000 | 327000 | 480-1014 | ქუთაისი, მჭედლიძის 18 | | 0.63 |
| 39 | 1015."ქუთ.№3 პურის ქ-ნა" (ს/გ"ქუთ."№3პ.ქ.) | 566756 | 554000 | 97.75 | 554000 | 831000 | 480-1015 | ქუთაისი, ნიკეას 20 | | 1.12 |
| 40 | 1016."ქუთ.№4 პურის ქ-ნა" (ს/გ"ქუთ."№4პ.ქ.) | 248280 | 237000 | 95.47 | 237000 | 355500 | 480-1016 | ქუთაისი, ავტომშენებლის 41 | | 0.46 |
| | სულ: | 15487787 | 3992139 | | 4064033.16 | 6081579.899 | | | | |

აუქციონის შედეგების შეჯამებისას ყოველ ცალკეულად გადახდილი თანხიდან გადახდილად ჩაითვლება 21 აშშ დოლარის ან მისი ჯერადის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო ნაშთი თანხები გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.

# ინფორმაცია

## რუსეთი

### პრეზიდენტის ხასიათის გათვალისწინებით

რენატ აკჩურინმა, რომელმაც გულის ოპერაცია გაუკეთა ბორის ელცინს ჟურნალისტებთან შეხვედრისას უარი განაცხადა პროგნოზზე, მაგრამ აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ხასიათის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ იგი მალე შეუდგება მოვალეობის შესრულებას.

### ჟურნალისტებიც დააფასეს

ხელისუფლებამ დამატებითი სახსრების მოზიდვით შესძლო ნაწილობრივ მაინც დაეფარა "გარღვევები" ხელფასების გაცემაში. ვიცე-პრემიერის ვ. იგნატენკოს განცხადებით, დაგვიანებული ხელფასები უკვე მიიღეს ჯანმრთელობის, განათლების დარგის მუშაკებმა და... სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჟურნალ-გაზეთების, რადიო-ტელევიზიის თანამშრომლებმა.

### კომუნისტებმა შემთხვევით ისარგებლეს

ხელფასმიუღებელი დარგების პროფკავშირებმა მოსკოვში საპროტესტო აქცია მოაწყვეს და განაცხადეს, რომ ვითარების გაუჯანსაღებლობის შემთხვევაში უფრო რადიკალურ ზომებს მიმართავენ.

პროფკავშირების მიერ ორგანიზებული აქციით ისარგებლეს რუსმა კომუნისტებმა და მიტინგზე სტალინის პორტრეტებით ხელდამშვენებულნი გამოცხადდნენ.

### მხოლოდ ზიუგანოვმა ინება

პრეზიდენტის ავადმყოფობას რუსეთში სხვადასხვა პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთნაირად როდი აღიქვამდნენ. ზოგი ახალი პრეზიდენტის მოვლინებას ელოდა, ზოგი თავად ფიქრობდა ხელის მოთბობას. ყოველ შემთხვევაში ოპოზიცია რაღაც გარდატეხას ელოდა, მაგრამ სდუმდა. მხოლოდ კომუნისტების ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა ინება და პრეზიდენტს საჯაროდ უსურვა ოპერაციის კეთილად დამთავრება და მალე გამოჯანმრთელება.

### ახალი კუპიურების პრეზენტაცია შედგა

ხელოვნების მუშაკთა ინიციატივით შექმნილი ფულის კუპიურების პირველი ემისია უკვე მოხდა. პროექტის პრეზენტაცია გასულ კვირას გაიმართა "სავოიაში" პოლიტიკოსების, კულტურისა და ფინანსური ორგანოების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების მონაწილეობით. კუპიურების იდეა და დიზაინი ეკუთვნით სატელევიზიო გადაცემების წამყვანს ლეონიდ პარფიონოვს და მხატვარ ელენე რიტაევას. მათ ყველა სამუშაო უსასყიდლოდ შეასრულეს.

# დებულება

## რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის მიერ პრივატიზებიდან მიღებული თანხების განკარგვის შესახებ

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს პრივატიზებიდან მიღებული თანხების განკარგვის წესრიგს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის მიერ დადგენილი ნორმატივების შესაბამისად.

გადახდის, განაწილებისა და პრივატიზებიდან თანხების მიღებაზე კონტროლის წესს ამტკიცებს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი, რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტრო, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური და ფედერალური ქონების რუსეთის ფონდი.

2. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტში პრივატიზებიდან შესული თანხები აკუმულირდება ამ კომიტეტის საანგარიშსწორებო ანგარიშზე და იხარჯება პრივატიზების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

ინფორმაციული, პროპაგანდისტულ-განმარტებითი საქმიანობის განხორციელება, რუსეთის ფედერაციაში პრივატიზების პროცესების განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების შესახებ ინფორმაციული და სხვა გამოცემების უზრუნველყოფა;

რუსეთის ფედერაციისა და საზღვარგარეთ პრივატიზების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების მიზნით კონგრესების, ფორუმების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზაცია და ჩატარება სამამულო და უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით;

დელეგაციების მიღება და პრივატიზების და სახელმწიფო საკუთრების მართვის პრობლემებზე მოლაპარაკებებისა და თათბირების ჩატარება;

საექსპერტო, საკონსულტაციო, მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევის განხორციელება სახელშეკრულებო საფუძველზე პრივატიზების პროცესის შესახებ ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების, სახელმწიფო საკუთრების მართვის სრულყოფისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის სამეცნიერო საკონსულტაციო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით;

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის და მისი ტერიტორიული ორგანოების თანამშრომელთა ხელახალი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა და სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ სუბიექტთა სწავლება სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან, მართვასთან და განმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში;

დახმარების გაწევა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის ტერიტორიული ორგანოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დაფინანსებაში, სააქციონერო ცენტრების ფუნქციონირებაში, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აქციათა გაყიდვის სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაში.

3. პრივატიზების შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და მის ფარგლებში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის საანგარიშსწორებო ანგარიშზე პრივატიზებიდან შემოსული თანხები შეიძლება დაიხარჯოს ამ კომიტეტის, აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოების, აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებთან არსებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ასევე მათი ტერიტორიული ორგანოების, იმ ქონების კომიტეტებისა და ფონდების მუშაკთა წახალისებისათვის, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში.

4. პრივატიზებიდან მიღებული თანხების ანგარიშზე შეიძლება მოხდეს იმ დანახარჯის (გასავლის) კომპენსირება, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტზე დაკისრებული ამოცანების განხორციელებასთან და არ შედის საბიუჯეტო ფინანსირების ხარჯთაღრიცხვაში, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით დადგენილ საზღვრებში:

არასაწარმოო აღჭურვილობისა და ხანგრძლივი სარგებლობის საგნების შეძენა, სატრანსპორტო მომსახურების, სამსახური შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, მოწყობილობისა და ინვენტარის მიმდინარე რემონტი, კავშირგაბმულობის მომსახურება;

პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოების მუშაკთა სავალდებულო სახელმწიფო პირადი დაზღვევა;

დადგენილი წესის მიხედვით პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოების მუშაკთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა და მათი ფლობის სწავლება;

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის მუშაკთა რუსეთის ფედერაციის ფარგლებში მივლინებასთან დაკავშირებული სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება;

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის სხვაქალაქელ მუშაკთა დროებითი საცხოვრებლის ღირებულების გადახდა სასტუმროებში, სასტუმროების სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ჩათვლით, მათ მიერ საცხოვრებელი ბინების მიღებამდე.

5. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი დადგენილ ვადებში ყოველკვარტალურად მიღებული თანხების და დადგენილი წესების მიხედვით ფაქტიურად წარმოებული დანახარჯების შესახებ ანგარიშს წარადგენს რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროში, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლს სახსრების სწორ ხარჯვაზე.



# "თავს პრეზიდენტად ვხედავ"...

**ჟურნალ "შპიგელისათვის" ალექსანდრე ლებედის მიერ მიცემული ინტერვიუდან.**

*- ...ვინ ჩამოგაგდოთ?*

- ელცინის ადმინისტრაციის შეფმა ჩუბაისმა. მას აბსოლუტური ძალაუფლება სურს. საჭირო სტრუქტურები უკვე შექმნა, რათა გავლენა მოახდინოს საკადრო პოლიტიკაზე, არმიაზე, სახელმწიფო უშიშროებაზე. მან უკვე დაიკავა პრეზიდენტის ადგილი.

*- მას მარტო უნდა მართვა თუ ელცინის ქალიშვილ ტატიანასთან ერთად?*

- ქალიშვილთან დუეტში. ისინი უკვე შეეწყნენ ერთმანეთს.

*- ...თქვენ გენერალ კორჟაკოვთან დადეთ ორმხრივი მხარდაჭერის პაქტი... რა არის "კაგებეს" ყოფილ გენერალსა და სამხედრო-საბრძოლო ოფიცერს შორის კავშირის არსი?*

- ეს არანაირად არ არის პოლიტიკური კავშირი. მე ხელი გავუწოდე ადამიანს, რომელსაც ტყუილები დააბრალეს. ყოველ შემთხვევაში ახლა მე ასე ვხედავ.

*- ...როგორც ჩუბაისის მაგალითი გვაჩვენებს, ელცინთან ზოგჯერ შესაძლებელია პოლიტიკური დაბრუნება (აღდგენა). ეგებ თქვენთვისაც ასე მოხდეს?*

- არასოდეს. ეს სრულიად გამორიცხულია.

*- თქვენ განაცხადეთ, რომ სახელებით ჩამოთვლიდით მათ, ვინც გააჩაღა ჩეჩნეთის ომი და ვინც რაღაცას იგებდა ამ ომით. ელცინმა თქვენგან მიიღო დოკუმენტები სახელებითა და მტკიცებებით. შეიძლებოდა ეს გამხდარიყო თქვენი გადადგომის ნამდვილი საფუძველი?*

- უმნიშვნელოვანესი. მას შემდეგ, რაც სათათბიროს დახურულ სხდომაზე ერთი-ორი სახელი დავასახელე, ჩემი სრული მტკიცებანი, შეიძლება, ისევე არ მივიდა პრეზიდენტამდე, როგორც მოხსენება ბრიუსელში ჩემი ვიზიტის შესახებ. ისინი ჩუბაისის მაგიდის უჯრაში დარჩა.

*- შინაგან საქმეთა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა ბრალი დაგდოთ, რომ ჩეჩენი მოხალისეების დახმარებით გსურთ რუსეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდება.*

- ბრიყვული იდეაა. შინაგან საქმეთა მინისტრისგან შეიძლებოდა მოსალოდნელი ყოფილიყო მტკიცებები. სად არიან მეამბოხეთა რაზმები, სად არის შეთქმულთა სიები, სად არის შესაძლო პუტჩისტების შეკრების პუნქტები?.. ეს, ეგრეთწოდებული დოკუმენტი, ამ "ლეგიონზე" - უბრალოდ, სასაცილოა: გრიფის, ბეჭდის, ხელმოწერის გარეშე ანონიმური ფურცელი, რომელიც ჯერ კიდევ 22 აგვისტოს წინ ედო კულიკოვს.

*- ძალაუფლების აღება სხვანაირად, ვიდრე კონსტიტუციური გზით, თქვენ მიუღებლად გეჩვენებათ ნებისმიერ ვითარებაში?*

- სრულიად გამორიცხულია.

*- მაშასადამე, თქვენ მოთმინებით დაელოდებით შემდეგ არჩევნებს?*

- რას ნიშნავს - მოთმინებით? მე ყველაფერს ჩამოვალ იმისათვის, რომ მოვიგო შემდეგი არჩევნები... საზოგადოების ყველა ფენაში მყავს პოლიტიკური მეგობრები. და ჩემთან მოდიან სულ უფრო და უფრო მეტი მეწარმეები, მნიშვნელოვანი ბიზნესმენებიც, რომლებსაც ყელში აქვთ ამოსული ახლანდელი მდგომარეობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათზე დაგეშეს ეს ახალი ჩე-კა... ახალი ჩე-კა, სათავეში კომისარ ჩუბაისით - მათ ნამდვილად ჭკუა დაკარგეს.

*- თუ თქვენი მომხრეები, განსაკუთრებით არმიაში, მოინდომებენ წესრიგის დამყარებას ძალადობით - შეძლებთ მათ შეჩერებას?*

- ამისათვის მე საკმარისი გავლენა, ნებისყოფა და არგუმენტები მაქვს...

ბლიც-ინტერვიუ

ზურაბ სოტკილავასთან

# მხოლოდ კონტრაქტსაც თავისი ზადი ჰქონია

*- უკვე მეორე წელია დიდ თეატრში მოქმედებს საკონტრაქტო სისტემა. თქვენ კარგად იცნობთ უცხოეთის გამოცდილებასაც. რა მოიგო თეატრმა ურთიერთობის ახალი ფორმით?*

- თავისთავად საკონტრაქტო სისტემა ბრწყინვალე ფორმაა და იგი საზღვარგარეთ ფართოდაა დანერგილი. ჩვენ 20 წლის წინ დავიწყეთ მასზე ლაპარაკი, კამათი. შემოვიღეთ, მაგრამ... ისევ საკუთარი მსახიობების მოწვევა აღმოჩნდა უკეთესი, ვიდრე გარეშეებისა, რადგან ანაზღაურება არის ძალიან ცოტა. ასეთი ჰონორარით ძნელია ცხოვრება. ახლა უცხოეთშიც ასეა. თვით პავაროტიც კი "ლა სკალას" სცენაზე ათ წელიწადში ერთხელ მღერის.

*- მაგრამ კონტრაქტით მუშაობა ხომ უფრო ხელსაყრელია - წინასწარ არის ცნობილი გრაფიკი, არავითარი მოულოდნელობა.*

- უკეთესი იქნება, თუ მიწვევა მოხდება ხუთ-ექვს სპექტაკლზე და მერე თავისუფალი იქნები. ახლა რა გამოდის? იმღერებ და მერე თვეობით ელოდები. ყველას თავისი გეგმა აქვს.

*- დიდი თეატრის გარდა ძირითადად საზღვარგარეთ მღერით?*

- არა. ახლახან ტიუმენში ვიყავი კამერული მუსიკის კონცერტზე. დიდებული მაყურებელი იყო - მუსიკის მცოდნე, თბილი, მადლიერი.

*- მეოთხედი საუკუნეა, რაც დიდ თეატრში მღერით. საიუბილეოდ ამზადებთ რამეს?*

- ახალს? არა. ვოცნებობ ძველი სპექტაკლების აღდგენაზე. მინდა ვიმღერო "კარმენი". დიდებული იქნება კარიერის დამთავრება ამ უდიდეს თეატრში.

"ოგონიოკის" მასალების მიხედვით მოამზადა **ლ. ნაფეტვარიძემ**

# მსოფლიო ეკონომიკა

1920 წელს მთელ მსოფლიოს მოედო ე.წ. "სუფრაჟისტების" მოძრაობა (ქალები იბრძოდნენ მამაკაცებთან თანასწორუფლებიანობისათვის ყველა სფეროში). ემანსიპირებულმა სუსტი სქესის წარმომადგენლებმა მამაკაცების მავნე ჩვეულების, სიგარეტის წევის გადაღება მოინდომეს. ამ დროს არ იცნობდნენ ისეთ ფაქტებს, როგორიცაა სიგარეტის ბოლის მავნე გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

აღნიშნულ პერიოდში ცნობილი თამბაქოს მეწარმის, ფილიპ მორისის პროდუქციის რეკლამის სფეროში მომუშავე სპეციალისტების წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იდგა. მათ მიუხედავად ყველაფრისა, უნდა დაემტკიცებინათ, რომ მართალია თამბაქოს წევა კბილების გაყვითლებას, არასასიამოვნო სუნს, მავნე მიდრეკილებისადმი მიჩვევას და დილ-დილაობით მშრალ ხველას იწვევს, მაინც მწეველი ქალები მუდამ დარჩებიან გაცილებით ნაზ, ყველასათვის საყვარელ და ჰაეროვან არსებებად. ამასთანავე ფირმის ახალ

# "ფილიპ მორისის" გადამწყვეტი სვლა

სიგარეტს უნდა ჰქონოდა კლასიკური და კეთილშობილური დასახელება. 20-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა უინსტონ ჩერჩილი (სიგარეტ "WINSTON"-ის სახელწოდება აქედან წარმოსდგება), რომელიც გრაფ მარლბოროების შორეული ნათესავი იყო. კომერსანტებს კი განსაკუთრებულად იზიდავდა სიტყვა მარლბორო, მაგრამ სასტიკად წინაამდეგი იყვნენ მისი დამწერლობისა "MARLBOROUGH". ამიტომ უბრალოდ ზედმეტი ასოები მოაშორეს სიტყვას და სიგარეტის კოლოფს დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი წარწერა "MARLBORO" წააწერეს. სარეკლამო კომპანია 1924 წელს გამოშვებული სიგარეტით ქალურობას უწევდა პოპულარიზაციას. სიგარეტს ფილტრთან დახატეს წითელი ლენტი, რათა ქალის პომადის მიერ სიგარეტზე დატოვებული ზოლი დაეფარათ, რომლის არსებობასაც ძალიან მარტივად ხსნიდნენ. იგი საჭირო იყო, რათა სიგარეტის ქაღალდი ტუჩებს არ მიკვროდა. სასიამოვნო, რბილი სიგარეტები მიკუთვნებული იქნა იმ მწეველი ქალბატონებისათვის, რომელთა შემხედვარე მამაკაცები უეჭველად ამოიცნობდნენ მათთვის ესოდენ სასურველ არისტოკრატიულ ბუნებას, თანახმად დადგინდა პირდაპირი დამოკიდებულება ფილტვის კიბოთი დაავადების რისკსა და სიგარეტის წევას შორის. "MARLBORO"-მ გადაწყვიტა, რომ ძირითადი მყიდველები უნდა გამხდარიყვნენ მამაკაცები, რომელთაც დაავადების კი ეშინიათ, მაგრამ თამბაქოს წევის მავნე ჩვეულებას ძნელად ელევიან.

სამეცნიერო კვლევამ სიგარეტის მაგნატებზე თავისებური ზეგავლენა მოახდინა. 1953 წლიდან დაიწყო თამბაქოს მწეველთა რიცხვის შემცირება აშშ-ში და მწარმოებელი კომპანიების მძაფრი რეაქცია თავდაპირველად ჩატარებული გამოკვლევების სისწორის ეჭვქვეშ დაყენებაში გამოიხატა, მაგრამ დარწმუნდნენ რა თავიანთი პოზიციის უიმედობაში, თამბაქოს "ბოსებმა" სტრატეგია ძირფესვიანად შეცვალეს. ყველა კომპანიამ ერთხმად დაიწყო იმის მტკიცება, რომ მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია სხვებთან შედარებით უსაფრთხოა, ხოლო გაუმჯობესებული ფილტრები მავნე გამონაბოლქვისაგან ადამიანს საიმედოდ იცავს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფილტრიან სიგარეტებს ამ დროს მხოლოდ მანდილოსნები ეწეოდნენ და ბევრ მამაკაცს არ სურდა დაცინვის ობიექტად გადაქცეულიყო "ქალური" სიგარეტების

მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, თავიდან "მარლბორო"-ს მაინცდამაინც დიდი წარმატება არ ჰქონია.

გავიდა კიდევ 20 წელი და ფილიპ მორისმა გადაწყვიტა სიგარეტის იმიჯის შეცვლა. 50-იან წლებში მეცნიერებმა გამოაქვეყნეს სპეციალური გამოკვლევის შედეგები, რომლის




წევის გამო. მწარმოებლები ფილტრიანი სიგარეტის მომგებიანობაში მალე დარწმუნდნენ, რადგან ფილტრის მასალა უფრო იაფია იმავე რაოდენობის თამბაქოზე, თანაც ფილტრი თამბაქოს ბოლს ასუფთავებს და შესაძლებელია უფრო იაფი, დაბალი ხარისხის თამბაქოს გამოყენება სიგარეტის დასამზადებლად.

ფილიპ მორისმა საბოლოოდ გადაწყვიტა "მარლბორო"-სათვის ე.წ. "სქესის შეცვლის ოპერაციის" ჩატარება და დაიქირავა ცნობილი სპეციალისტი რეკლამის დარგში. ლეო ბარნეტიმ "MARLBORO"-ს სახელის მოსახვეჭად კოვბოური იერსახის გამოყენება სცადა. თავიდან ამ იდეამ მოწონება არ დაიმსახურა, რადგან ამ დროისათვის ამერიკაში სულ 3000-მდე პროფესიონალი კოვბოი იყო დარჩენილი და ისინიც ძირითადად .მექსიკური და ლათინოამერიკული წარმოშობისა.

პირველად კოვბოების როლში პროფესიონალი ფოტომოდელების გადაღება სცადეს. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთ მათგანს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თუ როგორ მისდგომოდა ცხენს შესაჯდომად (მარყუჟის სროლაზე და რევოლვერების ოსტატურად ტრიალზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია). ფოტომოდელები მსახიობებმა შეცვალეს, რომელთაც ეცვათ მზეზე გამოხუნებული ცისფერი ჯინსები და კოვბოური ჩექმები, რაც მართალია შეესაბამებოდა კოვბოის იერსახეს, მაგრამ ფეხსაცმელებზე დეზები უკულმა ჰქონდათ მიმაგრებული. საბოლოოდ ნამდვილი კოვბოები ტეხასისა და მონტანის შტატებში მოძებნეს. სარეკლამო კომპანია იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ერთ წელიწადში "MARLBORO"-მ, გასაღების რაოდენობის მიხედვით, ბოლოდან პირველ ადგილზე გადაინაცვლა. 1962 წელს ბარნეტის სააგენტომ შეიძინა ცნობილი ვესტერნის "შესანიშნავი შვიდეულის" სცენარზე უფლებები და დაუმატა მას რეკლამის სიტყვები "გაემგზავრე იქ, სადაც ამერიკის ნამდვილი სურნელია, გაემგზავრე მარლბოროს ქვეყანაში!"

ამის შემდეგ "კოვბოი მარლბორო" გახდა კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და იღბლიანი სარეკლამო იერსახე, ხოლო თვით სიგარეტი "MFRLBORO" მსოფლიო ბაზარზე ყველაზე პოპულარული. როცა აშშ-ს მთავრობამ 1971 წელს აკრძალა სიგარეტების რეკლამა, კოვბოი სხვა საქონლის მოწინავე ემბლემად იქცა, მაგრამ მისი შორსმჭვრეტელი, თავის პიროვნულ ღირსებებში დარწმუნებული ადამიანის გამომეტყველება დღემდე შემორჩა ეკრანს. მიუხედავდ ამისა, მსოფლიოში სიგარეტებზე მოთხოვნილების შემცირების გამო ნელ-ნელა მცირდება მსოფლიო მოთხოვნილება "მარლბოროზეც".

**ირაკლი ჯავახიშვილი**

# 51-კარატიანი ბრილიანტი

შემოდგომა მეტად ინტენსიური და ამავე დროს საპასუხისმგებლო თვეა ანტიკვარიატებით ვაჭრობაში. თითქმის ყოველდღე იმართება აუქციონები. საინტერესოა, რომ მსოფლიო ანტიკვარიატის ბაზარი მუდამ რაღაც გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. მაგალითად, ნიუ-იორკში, როგორც წესი, გასაყიდად გამოაქვთ იმპრესიონისტთა ყველაზე ძვირადღირებული ნახატები. ლონდონში, ჩვეულებრივ იყიდება ვიქტორიანული ეპოქის საუკეთესო სურათები. საიუველირო ნაწარმის სიუხვით ხასიათდება ჟენევაში გამართული აუქციონი. ფირმა "Christie's"-ს გასაყიდად გამოაქვს ერთი კერძო მფლობელის კოლექცია, რომელიც 8-10 მილიონი დოლარის მიღებას ვარაუდობს. აუქციონის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ლოტია 51 კარატიანი ყელსაბამი ყვითელი ბრილიანტებით.

## მერსედესი სასამართლოში?

კეთილშობილი ინგლისელი "იაგუარ-სოვერენი" მიჰქრის ბონისაკენ მიმავალ ავტობანზე. სპიდომეტრი საათში 120 კილომეტრს აჩვენებს. მერე რაო, იკითხავს მკითხველი. საქმე ის გახლავთ, რომ საჭესთან მჯდომი მამაკაცი კითხვით არის გართული და არც საჭეს უყურებს, არც გზას...

გერმანიაში ინტელექტუალ მანქანათა გამოცდები უკვე იმ სტადიაშია, რომ უკვე 80 ცალი საცდელი ნიმუში ჩვეულებრივ გზებზე დადის, ჩვეულებრივი მძღოლებით. ავტომობილების უახლეს თაობას შეუძლია დამუხრუჭებაც, დისტანციისა და სიჩქარის დაცვაც. ერთი სიტყვით, მზად არის სერიოზული სერიული წარმოებისათვის.

ახლა საქმე ტექნიკაზე კი არა, ადამიანზეა. სურს კი მას ასეთი მანქანით სიარული, სჭირდება ისეთი მანქანა, რომელიც ყველა ოპერაციას თვითონ შეასრულებს?

"დაიმპლერ-ბენცს" მიაჩნია, რომ ეს ზეკომფორტი აუცილებელია მანქანის პატრონისათვის. ფირმა BMF-ის წარმომადგენლები კი, რომელიც აგრესიულ ავტომანქანებს უშვებს მათთვის, ვისაც თავისთავად მართვის პროცესი მოსწონთ, ამტკიცებენ, მძღოლმა თვითონ უნდა ატაროს მანქანაო.

ტექნიკურ პროგრესს თან სდევს ახალი იურიდიული კოლიზიები. მაგალითად, ვინ აგებს პასუხს, თუ "ეს ინტელექტუალი ავტომობილი" პროგრამაში რაღაც არევის გამო ვინმეს იმსხვერპლებს? ვინ წარდგება სასამართლოს წინაშე? "მერსედესი"? გერმანელი იურისტების აზრით, დამნაშავე იქნება მანქანის გამყიდველი ან მწარმოებელი.

## ადამიანი-რობოტი პატრონს იცვლის

სან-ფრანცისკოში წიგნების მაღაზიათა ქსელის მეპატრონე მეტ ვაისი ჰყიდის რობოტების კოლექციას. სათამაშოების განყოფილების "Sotheby's"-ს სპეციალისტები მას უნიკალურად მიიჩნევენ. აუქციონზე პირველად გამოაქვთ გასაყიდად ერთი ადამიანის კუთვნილი ამდენი (250 ცალი) რობოტი. მათი უმრავლესობა 50-60-იან წლებშია დამზადებული იაპონიაში.

ვაისის კოლექციიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა "ადამიანი-მანქანა". ეს გახლავთ დღეს მსოფლიოში ცნობილი სამი რობოტიდან ერთ-ერთი. მექანიკური სათამაშოების კოლექციონერები მას წლების განმავლობაში ეძებენ. მეტ ვაისმა, სწორედ მისი შეძენის შემდეგ შეწყვიტა რობოტების შეგროვება. თუმცა, კოლექციონერობით გატაცება არ ჩაქრობია. ამ კოლექციის გაყიდვა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა,რომ ახალი და უფრო საინტერესო "ნადირობა" დაიწყოს - სურს შეიძინოს XVIII საუკუნის წიგნების იშვიათი ნიმუშები, ვენეციური ბრინჯაო და ჯაზის ისტორიასთან დაკავშირებული ნივთები.

## "დედოფალი მარგო"

იზაბელა აჯანი, "დედოფალი მარგო", სტოვებს საფრანგეთს და სახლდება ჟენევაში. შვეიცარიაში იგი "სიმშვიდესა და სუფთა ჰაერს" ეძებს, რაც აუცილებელია მისი მცირეწლოვანი ბიჭის გაბრიელისათვის.

სწორედ სუფთა ჰაერისთვის სახლდება შვეიცარიის "საგადასახადო სამოთხეში" თითქმის ყველა ფრანგი მსახიობი როგორც კი მსოფლიო ვარსკვლავის სახელს მოიმკის. საფრანგეთ-შვეიცარიის შეთანხმების პირობით შვეიცარიაში მცხოვრები მსახიობები საფრანგეთის კანონებით იხდიან საბეგარო გადასახადს, როცა ფრანგული ფირმების გადაღებაში მონაწილეობენ, და თუ ჰოლივუდის დადგმაში, მაშინ - უკვე შეღავათიანი შვეიცარული კანონის მიხედვით.

## ქალთა ჩოგბურთის სექს-სიმბოლო პროფესიას იცვლის

ცნობილმა არგენტინელმა ჩოგბურთელმა გაბრიელა საბატინიმ ჯვარი გადაუსვა თორმეტწლიან კარიერას და განაცხადა: "გადაწყვეტილება, თავი დავანებო სპორტს, დიდი ხნისაა და ღრმა ფიქრის შემდეგ მივიღე. მინდა სხვა საქმეს მოვეკიდო". მას არ დაუზუსტებია, სახელდობრ, რა საქმიანობაში აპირებს მოღვაწეობას. ალბათ, 26

# პანორამა

წლის საბატინი [illegible] "ჩოგბურთის ვენერას" [illegible] განაგრძობს, მიუხედავად, რომ [illegible]ს გამოცდილება უკვე აქვს. რამდენიმე წლის წინათ გასაყიდად გამოიტანეს სუნამოები "გაბრიელა საბატინი" და "მანეტიკი", რომლის რეკლამაზე ასახული იყო სპორტსმენი ქალის სიტყვები: "ჩოგბურთი ჩემი თამაშია. სუნამოები - სიყვარული". მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ატლანტის ორივე მხარეს გოგონებმა მიატოვეს მანამდე გაღმერთებული "ბარბი" და შეიყვარეს ახალი სიმპათიური თოჯინა "გაბი", რომელიც საოცრად ჰგავს ლამაზ ჩოგბურთელს ბავშვობის წლებში.

## ზვიგენი - ადამიანის მეგობარი

ზღვის ურჩხული კაცობრიობის ისტორიაში ადამის მოდგმას შიშის ზარს რომ სცემდა, დღეს უკვე მის მხსნელად არის აღიარებული. ზვიგენი ხდება ისეთი საშინელი სენის "მკურნალი", როგორიც არის ცივილიზაციის საშინელი დაავადება - კიბო.

თვითონ ზვიგენი შესაშური ჯანმრთელობით გამოირჩევა. ნებისმიერ ჭრილობას, რომელიც ყველა სხვა ცხოველს სოცოცხლეს გამოასალმებდა, ზვიგენი სულ იოლად იშუშებს, ყოველგვარი ინფექციისა ან ანთებითი პროცესის გარეშე. მისი იმუნური სისტემა ყოველნაირ ვირუსსა და ბაქტერიას უმკლავდება.

ამერიკელი ექიმების რვა წლის შრომის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა რომელიმე ზვიგენის კიბოთი დაავადება. ბუნებაში ზვიგენის 350 სახეობა არსებობს.



მათგან ორი ფლობს ყველაზე მძლავრ ანთებასაწინაალმდეგო თვისებებს. სწორედ ეს ორი სახეობა გამოიყენება ახალი სიმსივნისსაწინააღმდეგო პრეპარატის SHARK CARTILAGE - "ზვიგენის ხრტილის" წარმოებაში.

პრეპარატმა შვიდწლიანი კლინიკური ცდები გაიარა აშშ-ში და ავადმყოფთა 50% ფეხზე დააყენა.

## დაიონი ეძებს ბერიას საგანძურს

47 წლის ალექსანდრე დაიონს, მოდგმით განძთმაძიებელს გადაწყვეტილი აქვს, რადაც უნდა დაუჯდეს, მიაგნოს ლავრენტი ბერიას საგანძურს. მისი ვარაუდით, ეს განძი ჩაფლული უნდა იყოს მიწაში, მოსკოვში, ღლევანდელი ტუნისის საელჩოს ქვეშ. საქმე ის არის, რომ სწორედ ამ 1910 წელს არქიტექტორ ერიხსონის მიერ აგებულ ერთსართულიან სახლში, რომელიც თავდაპირველად ფაბრიკანტ ბაკაკინს ეკუთვნოდა, სტალინის პერიოდში ბერიას ჰქონდა თავისი რეზიდენცია.

განძთმაძიებელს დაუდგენია ბერიას ინტერესთა სამკუთხედი - "ღვინო, ქალები, ოქრო" და დარწმუნებულია, რომ მიაგნებს ამ უკანასკნელს - მის კუთვნილ ოქროს. ნეტარ არიან მორწმუნენი!

# პანორამა

# გულშემატკივრებს მუქთად მოემსახურებიან

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით თანაბარი ქულების მქონე მოსკოვის "სპარტაკისა" და ვლადიკავკაზის "ალანიის" დამატებითი მატჩი რუსეთის ჩემპიონის გამოსავლინებლად გაიმართება 16 ნოემბერს და დაიწყება 17 საათზე მოსკოვის დროით.

მხარეები ვერ შეთანხმდნენ მხოლოდ ორ ძირითად საკითხზე. ვინ იმსაჯებს მატჩს? სავარაუდოა, რომ იგი არ იქნება რუსეთის მოქალაქე, რადგან ვლადიკავკაზელთა მწვრთნელის ვალერი გაზაევის აზრით, ყველაზე საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ მსაჯთა ბრიგადას უხელმძღვანელებს მინსკელი არბიტრი ვადიმ ჟუკი, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზობის დიდი გამოცდილება აქვს. მან სულ ახლახან იმსაჯა ევროპის ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის მატჩში შვეიცარიის "გრასჰოპერსსა" და საფრანგეთის "ოსერს" შორის და კარგი შეფასებაც დაიმსახურა. დათანხმდებიან თუ არა მოსკოველები ვ. ჟუკის კანდიდატურას, ჯერჯერობით უცნობია.

ცნობილი გახდა მხოლოდ შეჯიბრების ჩატარების მსურველი ორგანიზაცია. საფეხბურთო კლუბის "კამაზის" პრეზიდენტმა ვალერი კვიატკოვსკიმ განაცხადა, რომ თუ ასპარეზობა ჩატარდება ნაბერეჟნიე ჩელნიში, მაშინ ადგილობრივი, მოსკოველი და ვლადიკავკაზელი გულშემატკივრების ინტერესების გათვალისწინებით კლუბი მზად არის ისინი უფასოდ ჩაიყვანოს ნაბერეჟნიე ჩელნიში, მოათავსოს სასტუმროებში. თანაც, - დასძინა კვიატკოვსკიმ, - სინოპტიკოსების დასკვნით შუა ნოემბრისათვის მოსალოდნელია ნამდვილი საფეხბურთო ამინდი. ნამდვილად გულუხვი მასპინძლობაა.



## ახალი კონტრაქტი - 10 მილიონი დოლარი

უცხოეთის პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ "ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებულმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიხეილ ინდურაინმა გადაიფიქრა სპორტული კარიერის დამთავრება. მიზეზს მეტად "პროზაულს" ასახელებენ. ამბობენ, რომ მას ცნობილი გუნდი "ONCE" სთავაზობს კონტრაქტს. თანხა - სოლიდურია (10 მილიონი დოლარი). თავად სპორტსმენმა თავი შეიკავა ფაქტის კომენტარისაგან, მაგრამ არ უარყო, რომ "ONCE"-თან აქვს საქმიანი მოლაპარაკება.

## "გლაზგო რეინჯერსმა" "რეკორდი" დაამყარა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის ყოველგვარ იმედდაკარგულმა გლაზგოელებმა თავისებური რეკორდი მაინც დაამყარეს. ამ ასპარეზობაში მონაწილეობის ბოლო ორი წლის მანძილზე მათ 12 შეხვედრაში ვერ მოახერხეს თუნდაც ერთი გამარჯვების მოპოვება. ერთ დროს ბრწყინვალე "რეინჯერსისათვის" ეს სრული კრახია. ეტყობა, მართლაც დრონი მეფობენ.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. მადაგასკარი; 6. პიკასო; 7. რესორი; 9. რანჩო; 10. დალი; 11. ალაპი; 14. მანე; 15. ყნიასო; 17. ჩარიზი; 18. კატარახტა; 20. კონკია; 22. იდეალი; 24. [illegible]; 25. ფაუნა; 27. ევრო; 30. რკინა; 31. ისარნა; 32. მკერდი; 33. ინტერვენცია.

შვეულად: 1. მაყალი; 2. სალორია; 3. [illegible]; 4. [illegible]; 6. [illegible]; 8. ინანთი; 12. ლამა; 13. ჰერა; 16. ოკა; 17. ჩაი; 19. რაგუ; 21. [illegible]; 23. ავრალი; 25. ფარადეი; 26. ატამანი; 28. მირონი; 29. ელეგია.



შვეულად: 1. პიპინია ერისთავის ძაღლი. 2. ზოგი ბოსტნეული ან ბალახი, რომლის ფოთლებს ხარშავენ საჭმელად. 3. წარწერა კინოფილმის კადრზე. 4. სახის გამომეტყველება; შესახედაობა; გარეგნობა. 5. დაბეჭდილი ტექსტის შემცველი ქაღალდის ფურცელი, რაც რაიმეს ადასტურებს, რისამე მიღების უფლებას იძლევა. 8. სიმინდის ნედლი ჩალა. 9. ლორდის მეუღლე. 10. მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ პირთან დაკავშირებულ მოქმედებას ან მდგომარეობას. 11. ამერიკაში გაქცეული რუსი მსახიობი. 13. საგნების ზედაპირზე გაჩენილი წყლის წვრილი წვეთები ტენიანი ჰაერის გაცივების შედეგად. 15. ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია რელიგიასა და რეაქციული კლასების იდეოლოგიასთან და რომელსაც წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეა, ცნობიერება, გონი და არა მატერია მიაჩნია ყველაფერი არსებულის საფუძვლად. 16. ერთწლოვანი ხვიარა დეკორატიული მცენარე ხვართქლასებრთა ოჯახისა; იკეთებს ძაბრისებრ ლურჯ, მოწითალო ან თეთრ ყვავილს. 17. გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი. 18. ხორცი - ბავშვის ენაზე. 19. კორპის ან ხის ნაჭერი, რომელიც მიბმულია ანკესის ძაფზე ან სათევზაო ბადეზე და წყალში არ იძირება. 24. ადგილი, სადაც სასარგებლო ნამარხი, კერძოდ, მადნეული მოიპოვება. 26. ფიფას პრეზიდენტი. 28. სარწევი ხის საწოლი ჩვილი ბავშვისათვის. 30. საქონლის ნაწლავის ან მყესისაგან გაკეთებული სიმი (ჩონგურის, ფანდურის და სხვ.). 32. ეკლებიანი ბალახი რთულყვავილოვანთა ოჯახისა; გავრცელებულია მინდვრებში, მდელოებზე, ნათესებში და სხვ. 35. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 36. ორკბილიანი ჩხირი თმის დასამაგრებლად. 38. გარემოცვა, ბლოკადა. 39. რისამე წვის შედეგად გამოყოფილი აირადი ნივთიერება, რომელიც ჰაერში თეთრად ან მონაცრისფროდ ჩანს.

თარაზულად: 1. ფილოსოფიის მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტად აღიარებს პრაქტიკულად სასარგებლოს. 5. საეკლესიო ძმობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული. 6. გრძელი, სახელოებიანი ტანსაცმელი. 7. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები აკომპანიმენტით, ჩვეულებრივ, ოპერაში. 11. საბრძოლო წყობა მართკუთხედის სახისა. 12. მოძღვრება, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას. 14. თავთავიანი პურეული მცენარე; აქვს ფხიანი თავთუნები, კილგადაკრული მარცვალი. 16. ერთგვარი ყვავილი; აქვს ყვითელი პრიალა ყვავილები. 18. ღვინის საწყაო. 20. მორცხვი, ჭია, მატლი. 21. მდინარე დასავლეთ ევროპაში. 22. პატარა კუნძული წყნარ ოკეანეში, ინდონეზიასთან. 23. გერმანელი მფრინავი, რომელიც დაჯდა წითელ მოედანზე. 25. ცინიკური კომედია. 27. ქოხის, საბძლისა და სხვ. ზედსარტყელი, კოჭი, გადებული კედლების შესაკრავად (კახეთში). 29. ჭაობის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა; აქვს მაღალი, წვრილი ღერო და წვერზე მსხვილი საგველა. 31. მაღალი ძელი გემზე იალქნისათვის. 33. ნარნარად, მდორედ ფრენა. 34. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის უმაღლესი სამეცნიერო წოდებულება. 37. ჩლიქის მოყვანილობის რკინის სქელი ფირფიტა; აკრავენ მუშა საქონელს ან ცხენს ჩლიქზე. 40. ნორვეგიის დედაქალაქი. 41. პატივისცემა, თავაზი. 42. ქიმიური ელემენტი, არალითონი. 43. ვიტამინების ნაკლებობა.

# სპორტული კალეიდოსკოპი

## "შენი რაა, რომ ამშვენებ..."

კლუბებს შორის ევროპის პირველობის მორიგ ასპარეზობაზე მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ "მოსკვიჩის" და თურქეთის "კარატუჯის" მოჭიდავეები. რუსების ბერძნულ-რომაული სტილის ფალავნების უპირატესობა აშკარა იყო და მათ გაიმარჯვეს კიდეც დამაჯერებელი ანგარიშით - 7:3.

მთავარი მაინც ის იყო, რომ რუსული კლუბის წევრებს შორის განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველმა ფალავნებმა. 100 კილოგრამიან წონაში თეიმურაზ ედიშერაშვილმა დაამარცხა თურქი ხაკი ბოსერი - 3:0. მსოფლიოს ჩემპიონის გურამ გედეხაურის მეტოქემ შაბან დონატმა ვერც ერთი ილეთის ჩატარება ვერ შესძლო და სამი გაფრთხილების შემდეგ იგი საერთოდ მოხსნეს შეჯიბრებიდან.

ქართველების გამარჯვებას რუსეთის ჰიმნი "ამშვენებს"...

## პანტიჩი მხოლოდ ძელს უმიზნებს

"ატლეტიკოს" წამყვანი ფეხბურთელი მილინკო პანტიჩი ევროტურნირების მთავარი "შტანგისტი" გახდა. მან ოთხ ტურში ხუთჯერ მოახვედრა ბურთი ძელს და თავისებური რეკორდსმენიც გახდა.

# პრიზი მართლაც მეფური იყო

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა გრძელ დისტანციებზე მორბენლებს შორის ყველაზე პოპულარული შეჯიბრება - ნიუ-იორკის საერთაშორისო მარათონი, რომელიც წელს 27-ედ გაიმართა.

ფინიშთან პირველი მივიდა 25 წლის იტალიელი ჯაკომო ლეონე, რომელიც ამაოდ ცდილობდა ქვეყნის ნაკრებში მოხვედრას და ატლანტას ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღებას. არაფერი გამოუვიდა. წლის დასაწყისიდან ისეთი დაბალი შედეგები ჰქონდა, რომ იტალიის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებს შორის არც კი დაუსახელებიათ. აი, ნიუ-იორკში კი ნამდვილად იყოჩაღა.

საოცარია ისიც, რომ მეორე ადგილზე გავიდა რუმინელი ანუტა კატუნა. დღემდე მასაც არც ერთხელ არ გაუმარჯვია რაიმე სერიოზულ ასპარეზობაში.

ერთი სიტყვით, ნიუ-იორკის მარათონი საერთაშორისო შეჯიბრების აუტსაიდერთა ტრიუმფად იქცა და ეს მაშინ, როცა აქ სტარტი აიღო 29800 მორბენალმა, რომელთა შორის ბევრს უეჭველ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ფინიშთან პირველი მისვლა კი ნამდვილად ღირდა მომქანცველ შრომად. გამარჯვებულმა პრემიად მიიღო 30000 დოლარი და კიდევ 25000 დოლარად ღირებული მსუბუქი ავტომანქანა. თუ გარბენილ მანძილს საპრიზო თანხაზე გავყოფთ, გამოდის, რომ გამარჯვებულმა ყოველ გარბენილ კილომეტრში 715 დოლარი მიიღო. მეორე პრიზიორს წილად "მხოლოდ" 20 ათასი ერგო, მესამეს - 10000 და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტრასაზე წესრიგს იცავდა 2700 პოლიციელი. ასე რომ, ჩვენს ქალაქში ჩატარებულ შეჯიბრებებზე წესრიგის დამცველთა სიმრავლე გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს. ამდენი პოლიციელი ინგლის-საქართველოს ხვალინდელ შეხვედრაზეც არ იქნება.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.
„პრივატიზების მაცნე“ რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0893
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე გრძელ წერილს.
რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს;

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.11.96.

პრივატიზების მაცნე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში“ მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო კოლეგია